**induce** [ɪnˈdjuːs] v — იძულება (აიძულებს), გამოწვევა (იწვევს), ინდუცირება

**induced** [ɪnˈdjuːst] a — ინდუცირებული, იძულებითი; ~ representation — ინდუცირებული წარმოდგენა

**induction** [ɪnˈdʌkʃ(ə)n] n — ინდუქცია; complete ~ სრული ინდუქცია; mathematical ~ მათემატიკური ინდუქცია; transfinite ~ ტრანსფინიტური ინდუქცია; ~ scheme — ინდუქციის სქემა

**inductive** [ɪnˈdʌktɪv] a — ინდუქციური; ~ definition — ინდუქციური განსაზღვრა; ~ method — ინდუქციური მეთოდი

**industrial** [in'dastrɪəl] a — ინდუსტრიული, სამრეწველო

**inefficient** [ɪnɪ'fɪʃənt] a — არაეფექტური

**inelastic** [ɪnɪ'læstɪk] a — არადრეკადი

**Inequality** [ɪnɪ:'kwɔ:lɪtɪ] n — უტოლობა; absolute ~, unconditional ~ უპირობო (აბსოლუტური) უტოლობა; conditional ~ პირობითი უტოლობა; ~ sign — უტოლობის ნიშანი

**inertia** [ɪ'nɪ:ʃjə] n — ინერცია; axis of ~ ინერციის ღერძი; centre of ~ ინერციის ცენტრი; law of ~, principle of ~ ინერციის კანონი; moment of ~ ინერციის მომენტი

**inertial** [ɪ'nɪ:ʃjəl] a — ინერციული; ~ system — ინერციული სისტემა

**inessential** [ɪ'nɪ'senʃəl] a — არაარსებითი; ~ map(ping) — არაარსებითი ასახვა

**inexact** [ɪnɪg'zækt] a — არაზუსტი

**inexactitude** [ɪnɪg'zæktɪtju:d] n — უზუსტობა, არაზუსტობა

**inference** [ɪn'fɜ:ns] n — გამოყვანა; დასკვნა; formal ~ ფორმალური გამოყვანა; logical ~ ლოგიკური გამოყვანა

**inferior** [ɪn'fɪəriə] a — ქვედა; limit ~ ქვედა ზღვარი

**infimum** [ɪn'fɪməm] n — (ზუსტი) ქვედა საზღვარი, ინფიმუმი

**infinite** [ɪn'fɪnɪt] a — უსასრულო, უსასრულოდ დიდი; ~ decimal fraction — უსასრულო ათწილადი; ~ point — უსასრულოდ დაშორებული წერტილი; ~ product — უსასრულო ნამრავლი; ~ series — უსასრულო მწკრივი

**Infinitely** [ɪn'fɪnɪtli] adv — უსასრულოვ, უსაზღვროდ; ~ small (bending) — უსასრულოდ მცირე (ღუნვა)

**infinitesimal** [ɪnɪnɪ'tesɪməl] a — უსასრულოდ მცირე, ინფინიტეზიმალური;

~ calculus — უსასრულოდ მცირეთა აღრიცხვა; ~ circle — უსასრულოდ მცირე წრეწირი

**Infinity** [ɪn'fɪnɪtɪ] n — უსასრულობა; axiom of ~ უსასრულობის აქსიომა; ∅ at ~ უსასრულობაში

**inflect** [ɪn'flekt] v — გადაღუნვა (გადაღუნვას), გადახრა

**inflexion** [ɪn'flekʃ(ə)n] n — გადაღუნვა; გაღუნვა; point of ~ გადაღუნვის წერტილი

**influence** ['ɪnfluəns] n — გავლენა, ზემოქმედება; ~ function — გავლენის ფუნქცია; domain of ~ გავლენის არე

**inform** [ɪn'fɔ:m] v — შეტყობინება (ატყობინებს), ინფორმირება

**informal** [ɪn'fɔ:məl] a — არაფორმალური, შინაარსობრივი; ~ theory — შინაარსობრივი თეორია

**information** [ɪn'fɔ:mɪʃ(ə)n] n — ინფორმაცია, მონაცემები; redundant ~ ჰარბი ინფორმაცია; source ~ პირველადი ინფორმაცია; amount of ~, quantity of ~ ინფორმაციის რაოდენობა; ~ theory — ინფორმაციის თეორია

**informative** [ɪn'fɔ:mətɪv] v — ინფორმაციული, ინფორმაციის შემცველი

**Infrapolynomial** [ɪn'frəpɔɪ'nɔumjəl] n — ინფრამრავალწევრი

**ingredient** [ɪn'grɪ:djənt] n — შემადგენელი ნაწილი, ინგრედიენტი

**inherent** [ɪn'hɪərənt] a — დამახასიათებელი, აუცილებადი; ~ error — აუცილებადი ცდომილება

**inhibition** [ɪnɪ'hɪʃ(ə)n] n — აკრძალვა; დაყოვნება, შეფერხება; ~ of a signal — სიგნალის დაყოვნება

**initial** [ɪ'nɪʃəl] a — საწყისი, პირველადი, დაწყებითი; ~ condition — საწყისი პირობა; ~ moment — საწყისი მომე-

- ნტი; ~ point — საწყისი წერტილი; ~ state — საწყისი მდგომარეობა; ~ value — საწყისი მნიშვნელობა; ~ value problem — საწყისი მნიშვნელობის ანუ კომის ამოცანა
- initiate** [i'nɪʃieɪt] v — დაწყება (იწყებს), წამოწყება
- injection** [ɪn'dʒekʃ(ə)n] n — 1. ინექცია; 2. ინექციური ანუ ურთიერთცალსახა ასახვა
- injective** [ɪn'dʒektɪv] a — ინექციური; ~ hull — ინექციური გარსი
- inner** ['ɪnə] a — შიგა, შინაგანი; ~ angle — შიგა კუთხე, შინაგანი კუთხე; ~ force — შიგა ძალა; ~ measure — შიგა ზომა; ~ point — შიგა წერტილი
- input** ['ɪnpʊt] n — შეტანა; შესვლა; შესასვლელი, შესავალი (მონაცემები); card ~ პერფორატიდან შეტანა; data ~ მონაცემების შეტანა, ინფორმაციის შეტანა; tape ~ პერფორაციისგან შეტანა; ~ data — შესავალი მონაცემები; ~ flow — შესავალი ნაკადი
- inradius** [ɪn'reɪdɪəs] n — ჩახაზული წრეწირის რადიუსი
- inscribe** [ɪn'skraɪb] v — ჩაწერა (ჩაწერს), ჩახაზვა
- inscribed** [ɪn'skraɪbd] a — ჩაწერილი, ჩახაზული; ~ circle of a triangle — სამკუთხედში ჩახაზული წრეწირი
- inseparability** [ɪn'sepərə'bɪlɪtɪ] n — აირაპერაბელებლობა
- inseparable** [ɪn'sepərəbəl] a — აირაპერაბელებური
- insertion** [ɪn'sə:(ə)n] n — შეტანა (მონაცემებისა), მოთავსება, ჩართვა
- inside** [ɪn'saɪd] I a — შინაგანი, შიგა; II adv — შიგ, შიგნით; ~ the circle — წრეში, წრის შიგნით; III n — შიგა მხარე
- insignificant** [ɪn'sɪɡnɪfɪkənt] a — უმნიშვნელო
- insoluble** [ɪn'sɔljʊbəl] a — ამოუხსნადი, გადაუწყვეტელი
- inspection** [ɪn'spekʃ(ə)n] n — შემოწმება, კონტროლი, ინსპექცია; amount of ~ ინსპექციის მოცულობა
- insphere** [ɪn'sfɪə] n — ჩახაზული სფერო
- instability** [ɪn'stə'bɪlɪtɪ] n — არამდგრადობა
- installation** [ɪn'stə'leɪʃ(ə)n] n — დადგმა, მონტაჟი
- instance** ['ɪnstəns] n — მაგალითი, ცალკეული შემთხვევა; ◊ for ~ მაგალითად
- instant** ['ɪnstənt] n — მომენტი, წამი
- instantaneous** [ɪn'stənt'eɪnjəs] a — წამიერი, მყისი; ~ acceleration — მყისი აჩქარება
- instead** [ɪn'sted] adv — ნაცვლად, მაგიერ, მაგივრად; ◊ ~ of this — ამის ნაცვლად
- instruction** [ɪn'strʌkʃ(ə)n] n — ინსტრუქცია, ბრძანება
- instrument** ['ɪnstrʊmənt] n — ხელსაწყო, იარაღი; ინსტრუმენტი; measuring ~ საზომი ხელსაწყო; ~ board — საიარაღე დაფა
- insufficient** [ɪn'sʌfɪʃənt] a — არასაკმარისი, არასაკმაო
- insurance** [ɪn'sʊərəns] n — დაზღვევა; ~ statistics — დაზღვევის სტატისტიკა
- integer** ['ɪntɪdʒ] n — მთელი რიცხვი; complex (Gaussian) ~ კომპლექსური მთელი რიცხვი
- integrability** ['ɪntɪgrə'bɪlɪtɪ] n — ინტეგრებადობა; ~ condition — ინტეგრებადობის პირობა
- integrable** ['ɪntɪgrəbəl] a — ინტეგრებადი, შეჯამებადი; absolutely ~ აბსოლუტურად ინტეგრებადი; Riemann ~ რიმანის აზრიით ინტეგრებადი; square ~ კვადრატით ინტეგრებადი

**integral** [ˈɪntɪgrəl] **n** — ინტეგრალი; complex ~ კომპლექსური ინტეგრალი; contour ~ წირითი ინტეგრალი; definite ~ განსაზღვრული ინტეგრალი; double ~ ორმაგი ინტეგრალი; elliptic ~ ელიფსური ინტეგრალი; Fourier ~ ფურიეს ინტეგრალი; hyperelliptic ~ ჰიპერელიფსური ინტეგრალი; indefinite ~ განუსაზღვრელი ინტეგრალი; Lebesgue ~ ლებეგის ინტეგრალი; multiple ~ ჭერადი ინტეგრალი; Riemann-Stieltjes ~ რიმან-სტილტესის ინტეგრალი; II **a** — ინტეგრალური; ~ calculus — ინტეგრალური აღრიცხვა; ~ curvature — ინტეგრალური სიმრუდე; ~ curve — ინტეგრალური წირი; ~ logarithm — ინტეგრალური ლოგარითმი; ~ representation — ინტეგრალური წარმოდგენა; singular ~ equation — სინგულარული ინტეგრალური განტოლება

**integrally** [ˈɪntɪgrəlɪ] **adv** — მთლიანად, გლობალურად; ~ closed ring — მთლიანად ჩაკეტილი რგოლი

**integrand** [ˈɪntɪgrænd] **n** — ინტეგრალქვეშა ფუნქცია, ინტეგრალქვეშა გამოსახულება

**integraph** [ˈɪntɪgrɑːf] **n** — ინტეგრაფი

**integrate** [ˈɪntɪgreɪt] **v** — ინტეგრ(ირ)ება (ინტეგრირებს); to ~ by parts — ნაწილობითი ინტეგრება

**integrated** [ˈɪntɪgreɪtɪd] **a** — ინტეგრებული

**integrating** [ˈɪntɪgreɪtɪŋ] **a** — მაინტეგრებელი; ~ circuit — მაინტეგრებელი სქემა; ~ factor — მაინტეგრებელი მამრავლი

**integration** [ˈɪntɪˈgreɪʃ(ə)n] **n** — ინტეგრაცია, ინტეგრება; ~ by parts — ნაწილობითი ინტეგრება, წევრ-წევრად

ინტეგრება; numerical ~ რიცხვითი ინტეგრება; ~ step — ინტეგრების ბიჯი; ~ theory — ინტეგრების თეორია; domain of ~ ინტეგრების არე

**integrator** [ˈɪntɪgreɪtə] **n** — ინტეგრატორი; digital ~ ციფრული ინტეგრატორი; summing ~ შემაჯამებელი ინტეგრატორი

**integrity** [ɪnˈtegrɪti] **n** — მთლიანობა

**Integro-differential** [ˈɪntɪgrəʊˌdɪfəˈrenʃəl] **a** — ინტეგრალურ-დიფერენციალური; ~ equation — ინტეგრალურ-დიფერენციალური განტოლება

**intelligence** [ɪnˈtelɪdʒəns] **n** — 1. გონება, ინტელექტი; 2. ცნობები, ინფორმაცია; ~ system — საინფორმაციო სისტემა

**intense** [ɪnˈtens] **a** — ძლიერი, ინტენსიური

**intension** [ɪnˈtenʃ(ə)n] **n** — შინაარსი (ცნებისა)

**intensional** [ɪnˈtenʃənəl] **a** — შინაარსობრივი; ~ logic — შინაარსობრივი ლოგიკა

**intensity** [ɪnˈtensɪti] **n** — ინტენსივობა; ~ of sound — ბგერის ინტენსივობა

**intensive** [ɪnˈtensɪv] **a** — ინტენსიური, დაძაბული

**interaction** [ˌɪntərˈæktʃ(ə)n] **n** — ურთიერთქმედება

**intercept** [ˌɪntəˈsept] **I v** — გამოყოფა (გამოყოფს), მოკვეთა; **II n** [ˈɪntəsɛpt] — მონაკვეთი; ~ form of the equation of a straight line — წრფის განტოლება მონაკვეთებში

**interchange** [ˌɪntəˈtʃeɪndʒ] **v** — შენაცვლება (შეენაცვლება), გადაადგილება, ურთიერთშენაცვლება

**interchangeability** [ˌɪntəˈtʃeɪndʒəˈbɪləti] **n** — ურთიერთმონაცვლეობა

**interconversion** [ˌɪntəkənˈvɜːʃ(ə)n] **n** — ურთიერთგარდაქმნა

**intercorrelation** [ˈɪntəˌkɔːrɪˈleɪʃ(ə)n] *n* — ურთიერთკორელაცია

**interdeducible** [ˌɪntədiˈdʒuːsəblɪ] *a* — ურთიერთგამოყვანადი, დედუქციურად ტოლი

**interdependent** [ˌɪntədiˈpendənt] *a* — ურთიერთდამოკიდებული; ~ **functions** — ურთიერთდამოკიდებული ფუნქციები

**interface** [ˈɪntəˈfeɪs] *n* — მანქ. ინტერფეისი

**interference** [ˌɪntəˈfɪərəns] *n* — ინტერფერენცია

**interior** [ɪnˈtɪəriə] *1 a* — შიდა, შიგა, შინაგანი; ~ **angle** — შიგა კუთხე; ~ **point** — შიგა წერტილი; ~ **measure** — შიგა ზომა; *II n* — შიგა ნაწილი

**intermediate** [ˌɪntəˌmɪːdɪə] *a* — შუალედური, დამხმარე; ~ **field** — შუალედური ველი

**internal** [ɪnˈtɜːnl] *a* — შიგა, შიდა, შინაგანი; ~ **pressure** — შიგა წნევა; ~ **product** — შიგა ნამრავლი; ~ **regression** — შიგა რეგრესია; ~ **storage** — შიგა მესხიერება (მანქანისა); ~ **variance** — შინაგანი დისპერსია

**international** [ˌɪntəˈnæʃənl] *a* — საერთაშორისო

**interpolate** [ɪnˈtɜːpəleɪt] *v* — ინტერპოლ(ირ)ება, ინტერპოლაციის მოხდენა (ინტერპოლაციის ახდენს)

**interpolating** [ɪnˈtɜːpəleɪtɪŋ] *a* — ინტერპოლაციური; ~ **polynomial** — ინტერპოლაციური მრავალწევრი

**interpolation** [ɪnˈtɜːpəˈleɪʃ(ə)n] *n* — ინტერპოლ(ირ)ება, ინტერპოლაცია; **linear** ~ წრფივი ინტერპოლ(ირ)ება; **parabolic** ~ პარაბოლური ინტერპოლ(ირ)ება; ~ **formula** — ინტერპოლაციის ფორმულა; ~ **series** — ინტერპოლაციური მწკრივი

**interpret** [ɪnˈtɜːprɪt] *v* — ახსნა (ხსნის), განმარტება, ინტერპრეტირება

**interpretation** [ɪnˈtɜːprɪˈteɪʃ(ə)n] *n* — ინტერპრეტაცია; **geometric** ~ გეომეტრიული ინტერპრეტაცია

**interpreter** [ɪnˈtɜːprɪtə] *n* — მთარგმნელი, თარგმანი

**intersect** [ˌɪntəˈsekt] *v* — გადაკვეთა (გადაკვეთს), გადაჭრა

**intersection** [ɪntəˈseksj(ə)n] *n* — გადაკვეთა, თანაკვეთა; **line of** ~ გადაკვეთის წირი; **point of** ~, ~ **point** — გადაკვეთის წერტილი; ~ **of sets** — სიმრავლეთა გადაკვეთა (თანაკვეთა)

**interval** [ˈɪntəvəl] *n* — ინტერვალი, შუალედი; **closed** ~ ჩაკეტილი ინტერვალი; **finite** ~ სასრული ინტერვალი; **open** ~ ღია ინტერვალი; **time** ~ დროის მონაკვეთი, დროის ინტერვალი; ~ ~ **function** — ინტერვალის ფუნქცია; ~ **of convergence** — კრებადობის ინტერვალი

**into** [ˈɪntu, ˈɪntə] *prep* -ში; (აღნიშნავს მიმართულებას); **introduce the value b** ~ the expression — მოცემულ გამოსახულებაში შევიტანოთ *b*-ს მნიშვნელობა; **to divide** ~ **equal parts** — თანაბარ ნაწილებად დაყოფა; **to expand the function** ~ **a series** — ფუნქციის მწკრივად გაშლა; **a mapping of x** ~ **y** — *x*-ის *y*-ში გადასახვა

**intrinsic(al)** [ɪnˈtrɪnsɪk(əl)] *a* — დამახასიათებელი, შინაგანი; **intrinsic geometry** — შინაგანი გეომეტრია; ~ **metric** — შინაგანი მეტრიკა

**introduce** [ˌɪntrəˈdjuːs] *v* — შემოღება (შემოაქვს), შემოტანა (რამე ცნებისა, ტერმინისა და ა. შ.)

**introduction** [ˌɪntrəˈdʌksj(ə)n] *n* — შესავალი, წინასიტყვაობა

**intuition** [ˌɪntjuːʃ(ə)n] *n* — ინტუიცია

**intuitional** [ˌɪntjuːʃ(ə)nəl] *a* — ინტუიციური

**intuitionism** [ˌɪntjuːʃ(ə)nɪzəm] *n* — ინტუიციონიზმი

**intuitionistic** [ˌɪntjuːʃ(ə)nɪstɪk] *a* — ინტუიციური; ~ **logic** — ინტუიციური ლოგიკა

**invariable** [ɪnˈvəriəbəl] *a* — უცვლელი

**invariance** [ɪnˈvəriəns] *n* — ინვარიანტულობა; **topological** — ტოპოლოგიური ინვარიანტულობა

**invariant** [ɪnˈvəriənt] *I a* — ინვარიანტული; ~ **estimate** — ინვარიანტული შეფასება; ~ **series** — ინვარიანტული მწკრივი; *II n* — ინვარიანტი; **absolute** ~ აბსოლუტური ინვარიანტი; **affine** ~ აფინური ინვარიანტი; **integral** ~ ინტეგრალური ინვარიანტი; **irreducible** ~ დაუყვანი ინვარიანტი; **orthogonal** ~ ორთოგონალური ინვარიანტი; **scalar** ~ სკალარული ინვარიანტი; **tensor** ~ ტენზორული ინვარიანტი; ~ **theory** — ინვარიანტთა თეორია

**invention** [ɪnˈvenʃ(ə)n] *n* — გამოგონება

**inventory** [ˈɪnvəntri] *n* — 1. ინვენტარი; 2. აღწერა, ინვენტარიზაცია; ~ **control** — მარაგების მართვა

**inverse** [ɪnˈvɜːs] *a* — შებრუნებული, შექცეული; ~ **function** — შებრუნებული ფუნქცია; ~ **logarithm** — შებრუნებული ლოგარითმი, ანტილოგარითმი; ~ **matrix** — შებრუნებული მატრიცა; ~ **spectrum** — შებრუნებული სპექტრი

**Inversely** [ɪnˈvɜːsli] *adv* — უკუღმა, შებრუნებულად, შექცეულად; ~ **proportional (quantities)** — უკუპროპორციული სდიდეები

**inversion** [ɪnˈvɜːʃ(ə)n] *n* — შებრუნება, შექცევა; ინვერსია; ~ **of a function**

— ფუნქციის შებრუნება; ~ **formula** — შებრუნების ფორმულა; ~ **theorem** — შებრუნების თეორემა

**invertibility** [ɪnˈvɜːtəˈbɪlɪti] *n* — შექცევადობა, შებრუნებადობა

**invertible** [ɪnˈvɜːtəbəl] *a* — შექცევადი, შებრუნებადი; ~ **matrix** — შექცევადი მატრიცა

**investigate** [ɪnˈvestɪɡeɪt] *v* — გამოკვლევა (გამოიკვლევებს), ძიება, შესწავლა

**investigation** [ɪnˈvestɪɡeɪʃ(ə)n] *n* — შესწავლა, გამოკვლევა

**investment** [ɪnˈvestmənt] *n* — კაპიტალდაბანდება

**involute** [ˈɪnvəluːt] *n* — ევოლვენტა

**involution** [ˌɪnvəˈluːʃ(ə)n] *n* — ინვოლუცია; **biaxial** ~ ბიჰსიალური ინვოლუცია; **elliptic** ~ ელიფსური ინვოლუცია; **hyperbolic** ~ ჰიპერბოლური ინვოლუცია

**involve** [ɪnˈvɒlv] *v* — მოცვა (მოიცავს), შეიცავს; (შედგად) მოსდევს; მდგომარეობს

**inward** [ˈɪnwəd] *I a* — შინაგანი, შიგა; *II adv* — შიგნით, -ში, -კენ

**iota** [aɪˈəʊtə] *n* — ბერძ. იოტა

**irrational** [ɪˈræʃənəl] *a* — ირაციონალური; ~ **number** — ირაციონალური რიცხვი

**irrationality** [ɪˈræʃ(ə)nælɪti] *n* — ირაციონალურობა

**irreducibility** [ɪrɪˈdjuːsəˈbɪlɪti] *n* — დაუყვანობა; **case of** ~ დაუყვანი შემთხვევა

**irreducible** [ɪrɪˈdjuːsəbəl] *a* — დაუყვანი; უკვეცი; ~ **case** — დაუყვანი შემთხვევა; ~ **equation** — დაუყვანი განტოლება; ~ **polynomial** — დაუყვანი მრავალწევრი

**irreducibly** [ɪrɪˈdjuːsəbəlɪ] *adv* — დაუყვანად; ~ **connected** — დაუყვანად ბმული

irreflexive [i,rɪ'fleksɪv] a — ირეფლექსური

irrefutable [i'refjutəbl] a — უდავო, უცილობელი; ~ formula — უდავო ფორმულა

irregular [i'regjulə] a — არარეგულარული, არაწესიერი, ირეგულარული; ~ singular point — ირეგულარული განსაკუთრებული წერტილი

irrelevant [i'relɪvənt] a — 1. უადგილო, შეუფერებელი; 2. მნიშვნელობის არმქონე

irresolvable [i'rezɔljəbl] a — ამოუხსნადი

irreversibility [i,rɪ'vɜ:sə'bi:lɪtɪ] n — შეუქცევადობა

irreversible [i,rɪ'vɜ:səbl] a — შეუქცევადი

isobar [i'aisoubə:] n — იზობარი

isochrone [i'aisoukroun] n — იზოქრონი

isochronous [ai'sakrənoʊ] n — იზოქრონული; ~ curve — იზოქრონული მრუდი

isoendomorphism [i,aisou'endou'mɑ:fɪzəm] n — იზოენდომორფიზმი

isogonal [ai'sæŋgəʊl] a — იზოგონური, ტოლკუთხა; ~ transformation — იზოგონური გარდაქმნა

isograph [i'aisougrɑ:f] n — იზოგრაფი

isolate [i'aisəleɪt] v — განცალკევება (განცალკევებს), გამოყოფა, იზოლირება

isolated [i'aisələɪtɪd] a — იზოლირებული; ~ point — იზოლირებული წერტილი; ~ set — იზოლირებულ წერტილთა სიმრავლე

isolating [i'aisələɪtɪŋ] n — განცალკება, გამოყოფა, იზოლაცია; ~ of a root — ფესვის განცალკება

isometric [i,aisou'metrik] a — იზომეტრიული; almost ~ თითქმის იზომეტრიული; ~ surfaces — იზომეტრიული ზედაპირები

isometry [ai'samɪtri] n — იზომეტრია

isomorphic [i,aisou'mɑ:fɪk] a — იზომორფული

isomorphism [i,aisou'mɑ:fɪzəm] n — იზომორფიზმი; metric ~ მეტრიკული იზომორფიზმი

isoperimetric(al) [i,aisou'peri'metrik(əl)] a — იზოპერიმეტრიული; ~ inequality — იზოპერიმეტრიული უტოლობა; ~ problem — იზოპერიმეტრიული ამოცანა

isosceles [ai'sɑ:sɪ:lɪz] a — ტოლფერდა; ~ triangle — ტოლფერდა სამკუთხედი

isotherm [i'aisouθmə:m] n — იზოთერმი

isothermal [i,aisou'θɜ:məl] a — იზოთერმული

isothermic [i,aisou'θɜ:mɪk] = isothermal

isotropic [i'aisou'trɒpɪk] a — იზოტროპიული; ~ curve — იზოტროპიული წირი;

~ process — იზოტროპიული პროცესი; ~ shell — იზოტროპიული გარსი

isotropy [ai'sɒtrəpi] n — იზოტროპია

issue [i'sju:] I n — გამოშვება (წიგნისა, ნაშრომისა), გამოცემა; II v — გამოქვეყნება (გამოქვეყნებს), გამოცემა

it [ɪt] pron — 1. ის, ეს, იგი (იხმარება უსულო საგნებისა და ცხოველების აღსანიშნავად); 2. უპირო ზმნებითან იხმარება როგორც ქვემდებარე; ◇ it is easy — ადვილია; it comes out — მივიღებთ; it is obvious — აშკარაა, ცხადია

italic [i'tæɪlɪk] n — კურსივი; ◇ in ~s კურსივით

item [aɪtəm] n — ცალკეული საკითხი; პუნქტი; პარაგრაფი

iterate [i'tereɪt] v — განმეორება (განმეორდება), იტერირება

iterated [i'tereɪtɪd] a — განმეორებითი, ინტერირებული; ~ integral — გან-

მეორებითი ინტეგრალი; ~ kernel —  
იტერირებული გული  
iteration [ˌɪtə'reɪʃ(ə)n] n — განმეორება,  
იტერაცია; double ~ ორმაგი იტე-  
რაცია; linear ~ წრფივი იტერა-  
ცია; successive ~ მიმდევრობითი იტ-  
ერაცია  
iterative [ɪ'terətɪv] a — იტერაციული,

განმეორებადი; ~ method — იტერა-  
ციული მეთოდი; ~ process — იტერა-  
ციული პროცესი

itself [ɪ'tself] pron — თვით, თვითონ  
(იხმარება უსულო საგნებისა და ცხო-  
ველების აღსანიშნავად); ◇ by ~, in ~  
— თავისთავად

## J

jet [dʒet] n — რეაქტიული ძრავა  
join [dʒoɪn] v — შეერთება (აერთებს,  
ერთდება). შეკავშირება; ~ operati-  
on — შეერთების ოპერაცია  
joint [dʒoɪnt] I n — შეერთება, შეერთე-  
ბის ადგილი, შესაყარი, სახსარი; sphi-  
erical ~ სფერული სახსარი; II a —  
შეერთებული, ერთობლივი; ~ stiffi-  
-ciency — ერთობლივი საქმარისობა  
journal ['dʒɔ:nl] n — ეურნალი (სამეც-  
ნიერო)  
jump [dʒʌmp] n — ნახტომი; ~ functi-

on — ნახტომის ფუნქცია, ნახტომი-  
სებრი ფუნქცია

junction ['dʒʌŋkʃ(ə)n] n — შეერთება, მი-  
ერთება; გადაბმა; point of ~ შეერთე-  
ბის წერტილი

just [dʒʌst] I a — სწორი, ზუსტი, სამარ-  
თლიანი; II adv — 1. ზუსტად, სწორედ;  
2. ახლახან, ეს-იეს არის; ◇ ~ the same  
— ერთი და იგივე; ზუსტად ისეთივე,  
როგორც...

justify ['dʒʌstɪfaɪ] v — გამართლება (ამ-  
ართლებს), ახსნა, დასაბუთება, დადას-  
ტურება

## K

kappa ['kɑ:pə] n — ბერძ. კაპა  
keep [ki:p] v (kept, kept [kept]) — 1. შე-  
ნახვა (ინახავს), დაცვა, დატოვება; 2.  
დარჩენა (გარკვეულ მდგომარეობაში);  
◇ to ~ in mind — გათვალისწინება,  
მხედველობაში მიღება, დახსოვება  
kernel ['kɜ:nl] n — ბირთვი, გული; de-  
finite ~ განსაზღვრული გული; Her-  
mitian ~ ერმიტის გული; indefini-  
te ~ განუსაზღვრელი გული; itera-  
ted ~ იტერირებული გული; posi-  
tive ~ დადებითი გული; primitive ~  
პრიმიტიული გული; symmetric ~ სი-  
მეტრიული გული

key [ki:] n — 1. გასაღები; ~ letter — გა-  
საღები (კოდისა); გადატ. გასაღები  
(რისამე ამოსახსენლად); 2. კლავიში,  
ლილაკი; control ~ მართვის კლავიში  
keyboard ['ki:bɔ:d] n — კლავიატურა; bi-  
nary ~ ორობითი კლავიატურა; deci-  
mal ~ ათობითი კლავიატურა

kind [kaɪnd] n — გვარი, სახე, ტიპი;  
error of the first ~ პირველი გვარის  
შეცდომა; integral equation of the  
first ~ პირველი გვარის ინტეგრალუ-  
რი განტოლება; ◇ of this ~ ამ სახის

kinematic(al) [ˌkɪnə'mætɪk(ə)l] ja — კი-  
ნემატიკისა, კინემატიკური; kinematic

- coefficient of friction — ხახუნის კინემატიკური კოეფიციენტი  
**kinematics** [ˈkaɪnɪˈmæːtrɪks] n — კინემატიკა; ~ of (a) point — წერტილის კინემატიკა; ~ of a rigid body — მყარი სხეულის კინემატიკა  
**kinetic** [kaɪˈnetɪk] n — კინეტიკური; ~ energy — კინეტიკური ენერგია; ~ potential — კინეტიკური პოტენციალი  
**kinetics** [kaɪˈnetɪks] n — კინეტიკა, დინამიკა; ~ of material systems — ნივთიერ, მატერიალურ სისტემათა დინამიკა; ~ of a particle — ნივთიერი წერტილის დინამიკა

- knot** [nɒt] n — კვანძი; theory of ~s კვანძთა თეორია  
**know** [nou] v (knew [nju:], known [naʊn]) — ცოდნა (იცის), გავება  
**knowledge** [ˈnɒlɪdʒ] n — ცოდნა; to our ~ რამდენადაც ჩვენ ვიცით, რამდენადაც ეს ჩვენთვის ცნობილია...  
**known** [naʊn] a — ცნობილი, ნაცნობი; ~ quantity — ცნობილი სიდიდე

## L

- labile** [ˈleɪbəl] a — არამდგრადი; ~ equilibrium — არამდგრადი წონასწორობა  
**labour** [ˈleɪbə] n — შრომა, მუშაობა; სა-მუშაო; ~ statistics — შრომის სტატისტიკა  
**lack** [læk] n — ნაკლებობა, უქონლობა;  $\diamond$  for ~ of — (რაიმეს) უქონლობის, ნაკლებობის გამო  
**lacuna** [ləˈkju:nə] n (pl lacunae [ləˈkju:nəɪ], lacunas [ləˈkju:nəz]) — ხარვეზი, ლაკუნა  
**lacunarity** [ləˈkju:nəˈrɪtɪ] n — ლაკუნარულობა  
**lacunary** [ləˈkju:nəri] a — ლაკუნარული, ხარვეზიანი; ~ series — ლაკუნარული მწკრივი  
**lag** [læɡ] v — დაგვიანება (აგვიანებს), ჩამორჩენა, დაყოვნება  
**lambda** [ˈlæmbdə] n — ბერძ. ლამბდა; ~ -matrix — ლამბდა-მატრიცა  
**lamina** [ˈlæmɪnə] n (pl laminae [ˈlæmɪnəɪ]) — თხელი ფენა, ფირფიტა  
**laminar** [ˈlæmɪnə] a — ლამინარული; ~ flow — ლამინარული დინება

- lamp** [læmp] n — ლამპა, ნათურა; pilot ~ სასიგნალო ნათურა  
**language** [ˈlæŋɡwɪdʒ] n — ენა; algorithmic ~ ალგორითმული ენა; code ~ კოდური ენა; input ~ შესავლის ენა; output ~ გამოსავლის ენა; programming ~ დაპროგრამების (პროგრამირების) ენა  
**large** [lɑ:dʒ] a — დიდი; ვრცელი, ფართო; ~ scale — ფართო მასშტაბის (დიაპაზონის);  $\diamond$  at ~ 1. მთლიანად, საერთოდ; 2. დაწერილებით, ვრცლად; in the ~ მთლიანობაში, გლობალურად  
**last** [lɑ:st] a (ზედს. late-ის აღმ. გენ. -ით ხარისხი) — უკანასკნელი, ბოლო;  $\diamond$  at ~ დაბოლოს; next to the ~ ბოლოდან მეორე; ~ but one — ბოლოდან მეორე  
**late** [leɪt] a — უკანასკნელი, წინანდელი; გვიანი; II adv — ბოლო დროს, უკანასკნელ ხანს (აგრეთვე of late)  
**latent** [ˈleɪtənt] a — ფარული; ~ periodicity — ფარული პერიოდულობა; ~ state — ფარული მდგომარეობა  
**later** [ˈleɪtə] (ზედს. late-ის შედარებითი

ხარისხი) — უფრო გვიან, მოგვიანებით

**lateral** ['læterəl] a — გვერდისა, გვერდითი; ~ surface — გვერდითი ზედაპირი

**Latin** ['læɪn] a — ლათინური; ~ square — ლათინური კვადრატო

**latitude** ['læɪtɪtju:d] n — განვლი

**latter** ['læɪtə] a (ზედს. late-ის შედარებითი ხარისხი) — 1. არაშორეული, ახლახან მომხდარი; 2. უკანასკნელი (ორს შორის) in the ~ case — ამ უკანასკნელის შემთხვევაში...

**lattice** ['læɪtɪs] n — 1. ბადე; ~ point — ბადის წერტილი; ბადის კვანძი; ~ distribution — ბადური განაწილება; 2. სტრუქტურა; metric ~ მეტრიკული სტრუქტურა

**law** [lɔ:] n — კანონი, წესი, პრინციპი; ფორმულა, თეორემა; associative ~ ასოციაციურობის კანონი; commutative ~ კომუტატიურობის კანონი; distribution ~ განაწილების კანონი; ~ of excluded middle — შესამის გამორიცხვის კანონი; ~ of identity — იგივეობის კანონი; ~ of inertia — ინერციის კანონი; ~ of large numbers — დიდ რიცხვთა კანონი; ~ of small numbers — მცირე რიცხვთა კანონი ანუ პუასონის განაწილება; ~ of the mean — თეორემა საშუალო მნიშვნელობის შესახებ

**layer** ['leɪə] n — ფენა; boundary ~ სასაზღვრო ფენა

**lay-out** ['leɪaʊt] n — განლაგება, სქემა

**lead** [li:d] v (led, led [led]) — წაყვანა (წაიყვანს, მიჰყავს), გაძლავს, მართავს;  $\diamond$  this will ~ to — ამას მივყავართ ..., ეს გაძლავებს...

**leading** ['li:diŋ] a — წამყვანი, უფროსი

**leaf** [hi:f] n (pl leaves [li:vz]) n — ფოთო-

ლი, ფურცელი; გვერდი (წიგნისა); loose ~ ჩართული ფურცელი

**learn** [le:n] v. (learnt, learnt [le:nɪt]) — 1. სწავლა (სწავლობს), შესწავლა; 2. გაგება, შეტყობა

**least** [li:st] a (ზედს. little-ის აღმატებითი ხარისხი) — უმცირესი; ~ common multiple — უმცირესი საერთო ჯერადი; method of ~ squares, ~ squares method — უმცირეს კვადრატთა მეთოდი; ~ upper bound (l. u. b.) — ზუსტი ზედა ზღვარი;  $\diamond$  at ~ სულ მცირე, სულ ცოტა; მაინც; not in the ~ სრულიადაც არა, არც ერთ შემთხვევაში

**leave** [li:v] (left, left [left]) — დატოვება (ტოვებს), წასვლა

**lecture** ['lektʃə] n — ლექცია;  $\diamond$  to give (deliver) a ~ ლექციის წაკითხვა

**left** [left] I a — მარცხენა; ~ ideal — მარცხენა იდეალი; II n — მარცხენა მხარე; on the ~ მარცხნივ; to the ~ მარცხნისაკენ

**left-hand** ['left'hænd] a — მარცხენა; ~ side — მარცხენა მხარე

**left-handed** ['left'hændɪd] a — მარცხენა; ~ coordinate system — კოორდინატთა მარცხენა (მოგვეხულობის) სისტემა

**leg** [leg] n — კათეტი

**lemma** ['lemə] n (pl. lemmas ['leməz]) — ლემა

**lemniscate** [lem'nɪskət] n — ლემნისკატი; Bernoulli ~, ~ of Bernoulli — ბერნულის ლემნისკატი

**length** [leŋθ] n — სიგრძე, ხანგრძლივობა; ~ of a rectangle — მართკუთხედის სიგრძე;  $\diamond$  at ~ ბოლოს და ბოლოს

**less** [les] a (ზედს. little-ის შედარებითი ხარისხი) — ნაკლები;  $\diamond$  none the ~ მიუხედავად ამისა, მაინც

**let** [let] v — ნების დართვა (ნებას რთავს) დაშვება;  $\diamond \sim x$  be equal to  $x_0$  — ვთქვათ,  $x$  ტოლია  $x_0$ -ის;  $\sim$  us consider — განვიხილოთ

**letter** ['letə] n — ასო, სიმბოლო; code  $\sim$  კოდური ასო, კოდური სიმბოლო;  $\diamond \sim$  for  $\sim$  სიტყვაასიტყვით, სიტყვა-სიტყვით

**level** ['levl] I n — დონე, საფეხური; energy  $\sim$  ენერჯის დონე; significance  $\sim$  მნიშვნელობის დონე; II v — გასწორება (ასწორებს), გათანაბრება

**lever** ['li:və] n — ბერკეტი;  $\sim$  arm — ბერკეტის მხარი

**lexicographic(al)** [leks'i:kəgrəf'ik(ə)] a — ლექსიკოგრაფიული

**library** ['laibrəri] n — ბიბლიოთეკა;  $\sim$  subroutine — ბიბლიოთეკის ქვეპროგრამა

**lie** [lai] (lay [lei], lain [lein]) v — მღებარეობა (მღებარეობს), ყოფნა (არის, იმყოფება), დება (დევს), მოთავსება; the point  $\sim$ s in the circle — წერტილი მღებარეობს წრეში

**life** [laif] n — სიცოცხლე, არსებობა;  $\sim$  assurance,  $\sim$  insurance — სიცოცხლის დაზღვევა

**lift** [lɪft] I v — აწევა (სწევს, იწევა), ასვლა; II n — ამწევი ძალა, ლიფტი

**lifting** ['lɪftɪŋ] a — მატარებელი;  $\sim$  surface — მატარებელი ზედაპირი

**light** [laɪt] I n — სინათლე, შუქი; განათება; II a — ნათელი; მსუბუქი;  $\diamond$  to bring to  $\sim$  ახსნა; გაშუქება; to come to  $\sim$ , to throw  $\sim$  on (upon) — გამოაშკარავება, გამოვლენა, ნათლყოფა

**like** [laɪk] I a — მსგავსი; II adv — როგორც, მსგავსად;  $\diamond$  and the  $\sim$  და სხვა, და მისთანანი; III v — მოწონება (მოსწონს)

**likelihood** ['laɪklɪhʊd] n — ალბათობა, ეგებისობა, დასაჯერობა, მოსალოდნელობა; (maximum)  $\sim$  function — (უდიდესი) დასაჯერობის ფუნქცია; maximum  $\sim$  method — დასაჯერობის მაქსიმუმის მეთოდი;  $\sim$  ratio test — დასაჯერობათა ფარდობის კრიტერიუმი

**likely** ['laɪklɪ] I a — შესაძლებელი, მოსალოდნელი; II adv — შესაძლოა; it is  $\sim$  ალბათ, შესაძლოა; სავარაუდოა

**limb** [lɪm] n — ლიმბი

**limit** ['lɪmɪt] I n — ზღვარი, საზღვარი; elastic  $\sim$  დრეკადობის ზღვარი; inferior  $\sim$ ,  $\sim$  inferior — ქვედა ზღვარი; superior  $\sim$ ,  $\sim$  superior — ზედა ზღვარი;  $\sim$  of integration — ინტეგრაციის ზღვარი; left-hand  $\sim$ , right-hand  $\sim$  მარცხენა ზღვარი (ზღვარი მარცხნიდან), მარჯვენა ზღვარი (ზღვარი მარჯვნიდან); II a — ზღვრული, ზღვარიანი;  $\sim$  cycle — ზღვრული ციკლი;  $\sim$  point — ზღვრული (ზღვარიანი) ანუ გროვის წერტილი; III v — შეზღუდვა (ზღუდავს), შემოსაზღვრა, საზღვრის დაღება

**limitation** [lɪmɪ'teɪʃ(ə)n] n — შეზღუდვა, შემოსაზღვრა

**limited** ['lɪmɪtɪd] a — შეზღუდული

**limiting** ['lɪmɪtɪŋ] a — ზღვრული;  $\sim$  set — ზღვრული სიმრავლე

**line** [laɪn] n — 1. ხაზი, წირი; asymptotic  $\sim$  ასიმპტოტური წირი; broken  $\sim$  ტეხილი წირი; horizontal  $\sim$  პორიზონტალური წირი; integral  $\sim$  ინტეგრალური წირი; parallel  $\sim$ s პარალელური წირები;  $\sim$  of curvature — სიმრუდის წირი; 2. წრფე, სწორი ხაზი;  $\sim$  segment — წრფის მონაკვეთი, სეგმენტი; 3. სტრიქონი; 4. მიმარ-

- თულება; along (on) these ~ ზამ ში-  
მართულებით
- lineal** [ˈliːniəl] = linear
- linear** [ˈliːniəl] a — წრფივი. წრფოვანი;  
~ dependence — წრფივი დამოკიდე-  
ბულება; ~ equation — წრფივი გან-  
ტოლება; ~ manifold — წრფივი მრავ-  
ალსახეობა; ~ programming — წრ-  
ფივი დაპროგრამება (პროგრამირება);  
~ space — წრფივი ანუ ვექტორული  
სივრცე; ~ system — წრფივი სისტე-  
მა; ~ transformation — წრფივი გარ-  
დაქმნა
- linearity** [ˌliːniˈærɪti] n — წრფივობა
- linearly** [ˈliːniəlɪ] adv — წრფივად; ~  
independent (system, functions) —  
წრფივად დამოუკიდებელი (სისტემა,  
ფუნქციები); ~ ordered — წრფივად  
დალაგებული
- linguistics** [ˌlɪŋˈɡwɪstɪks] n — ენათმე-  
ცნიერება, ლინგვისტიკა; mathema-  
tical ~ მათემატიკური ლინგვისტიკა
- link** [lɪŋk] I n — შემაკავშირებელი რგო-  
ლი; კავშირი; II v — შეერთება (აერ-  
თებს, ერთდება), შეკავშირება, გადაბ-  
მა
- linkage** [ˈlɪŋkɪdʒ] n — კავშირი, შეერთე-  
ბა, გადაბმა
- liquid** [ˈlɪkwɪd] n — სითხე
- list** [lɪst] n — სია, ნუსხა; ცხრილი
- literal** [ˈlɪtərəl] a — 1. ასოითი; ~ equa-  
tion — ასოითი განტოლება; ~ ex-  
pression — ასოითი გამოსახულება;  
~ notation — ასოითი აღნიშვნა; 2.  
სიტყვასიტყვითი, პირდაპირი
- little** [lɪtl] Ia (less [les], lesser [ˈlesə];  
least [liːst]) — პატარა, მცირე; ცოტა;  
a ~ ცოტა, ცოტათი; II adv — ცოტა,  
ცოტოდენი; ◇ ~ by — თანდათანო-  
ბით
- load** [ləʊd] I n — ტვირთი, დატვირთვა;  
critical ~ კრიტიკული (კრიზისული)

დატვირთვა; dynamic ~ დინამიკუ-  
რი დატვირთვა; II v — დატვირთვა  
(ტვირთავს)

- loading** [ˈləʊdɪŋ] n — დატვირთვა
- local** [ˈləʊkəl] a — ადგილობრივი, ლო-  
კალური; ~ field — ლოკალური ვე-  
ლი; ~ parameter — ლოკალური პარა-  
მეტრი; ~ ring — ლოკალური რგოლი;  
~ stability — ლოკალური მდგრად-  
ობა
- localization** [ˌləʊkəlaɪˈzeɪʃ(ə)n] n — ლო-  
კალიზაცია
- locally** [ˈləʊkəlɪ] adv — ლოკალურად;  
~ analytic — ლოკალურად ანალი-  
ზური; ~ compact — ლოკალურად კო-  
მპაქტური; ~ connected — ლოკალუ-  
რად ბმული; ~ convex — ლოკალუ-  
რად ამოზნექილი; ~ homeomorphic  
— ლოკალურად ჰომეომორფული;  
~ nilpotent — ლოკალურად ნილპო-  
ტენტური; ~ solvable (group) —  
ლოკალურად ამოხსნადი (ჯგუფი)
- locus** [ˈləʊkəs] n — ლათ. (pl loci [ˈlə-  
ʊsaɪ]) — 1. წერტილთა გეომეტრიუ-  
ლი ადგილი; 2. ადგილი, ადგილმდებარე-  
ობა
- logarithm** [ˈlɒɡərɪθəm] n — ლოგა-  
რითმი; common (decadic) ~,  
Brigg's ~ ჩვეულებრივი (ათობითი)  
ანუ ბრეისის ლოგარითმი; na-  
tural ~, Napierian (Napierian) ~  
— ნატურალური ანუ ნეპერის ლო-  
გარითმი; ~ integral — ლოგარითმე-  
ლი ინტეგრალი; table of ~ s ლოგარ-  
ითმების ცხრილი
- logarithmics** [ˌlɒɡəˈrɪθmətɪks] n — ლო-  
გარითმეტიკა
- logarithmic** [ˌlɒɡəˈrɪθmɪk] a — ლოგა-  
რითმული; ~ decrement — ლოგა-  
რითმული დეკრემენტი; ~ deriva-

- live — ლოგარითმული წარმოებული;  
 ~ equation — ლოგარითმული გან-  
 ტოლება; ~ potential — ლოგარით-  
 მული პოტენციალი; ~ residue — ლო-  
 გარითმული ნაშთი
- logarithmically [ˌlɒgəˈrɪθmɪkəlɪ] adv —  
 ლოგარითმულად
- logic [ˈlɒdʒɪk] n — ლოგია; combina-  
 tory ~ კომბინატორული ლოგია;  
 constructive ~ კონსტრუქციული  
 ლოგია; formal ~ ფორმალური ლო-  
 გია; mathematical ~ მათემატიკური  
 ლოგია; symbolic ~ სიმბოლური  
 ლოგია
- logical [ˈlɒdʒɪkəl] a — ლოგიკური; ~  
 calculus — ლოგიკური აღრიცხვა; ~  
 geometry — ლოგიკური გეომეტრია;  
 ~ paradox — ლოგიკური პარადოქსი;  
 ~ product — ლოგიკური ნამრავლი;  
 ~ sum — ლოგიკური ჯამი
- logistic [lɒˈdʒɪstɪk] a — ლოგისტიკური;  
 ~ curve — ლოგისტიკური წირი
- logistics [lɒˈdʒɪstɪks] n — ლოგისტი-  
 კა
- long [lɒŋ] a — გრძელი, ხანგრძლივი;  
 theory of ~ waves — გრძელ ტალ-  
 ლათა თეორია; adv — დიდი ხანია;  
 დიდხანს; ◇ ~ ago — დიდი ხანია,  
 კარგა ხანია; before ~ მალე, სწრაფად
- longeron [ˈlɒndʒərɒn] n — ლონგერონი
- longitude [ˈlɒndʒɪtjʊːd] n — გრძელი
- longitudinal [ˌlɒndʒɪˈljʊːdɪnəl] a — სიგ-  
 რძობი, გასწვრივი; ~ axis — სიგრძი-  
 ვი ღერძი; ~ vibrations — სიგრძივი  
 რხევები
- long-wave [ˈlɒŋˈweɪv] a — გრძელტალ-  
 ლიანი
- look [lʊk] v — ყურება (უყურებს);  
 ◇ to ~ up — ძებნა (მაგ. სიტყვისა  
 ლექსიკონში)
- loop [lu:p] n — მარჯუევი, კონტური;  
 closed ~ შეკრული კონტური
- lose [lu:z] v (lost, lost [lɒst] ) — და-  
 კარგვა (კარგავს)
- loss [lɒs] n — დაკარგვა; დანაკლისი; და-  
 ნაკარგი, ზარალი; ~ function — და-  
 კარგვის ფუნქცია, ზარალის ფუნქცია
- lot [lɒt] n — 1. პარტია, სერია (პროდუქ-  
 ტისა და ა. შ.); 2. წილი, კენჭი;  
 ◇ a ~ (of) — ბევრი, მრავალი
- low [ləʊ] I a — დაბალი; II adv — დაბლა
- lower [ˈləʊə] I a (ზედს. low-ის შე-  
 დარბებითი ხარისხი) — ქვემო, ქვე-  
 და; greatest ~ bound — ზუსტი ქვე-  
 და საზღვარი; II v — დაშვება (ეშ-  
 ვება)
- lowering [ˈləʊərɪŋ] n — ჩაშვება, დაშ-  
 ვება
- lowest [ˈləʊɪst] a (ზედს. low-ის აღმატე-  
 ბითი ხარისხი) — უდაბლესი, უმცო-  
 რესი; ~ common multiple (შემოვლ.  
 l. c. m.) — უმცირესი საერთო ჯრდლი
- loxodrome [ˈlɒksədroum] n — ლოქსოდ-  
 რომი
- loxodromic [ˌlɒksəʊˈdrɒmɪk] a — ლოქ-  
 სოდრომული; ~ transformation —  
 ლოქსოდრომული გარდაქმნა
- lucid [ˈlu:sɪd] a — ნათელი, გასაგები
- lunar [ˈlu:nə] a — მთვარისა, მთვარის  
 ფორმის
- lunate [ˈlu:neɪt] a — ნახევარმთვარის ფო-  
 რმის
- June [ju:n] n — ნამგალა

## M

- machine** [mə'ʃi:n] n — მანქანა, მექანიზმი, (გამომთვლელი) მოწყობილობა; analog ~ ანალოგური გამომთვლელი მანქანა; code ~ მაკოდირებული მანქანა; digital ~ ციფრული (გამომთვლელი) მანქანა; Turing's ~ ტურინგის მანქანა; ~ time — მანქანური დრო
- macroscopic** [ˌmækrəʊˈskɒpɪk] a — მაკროსკოპული
- made** [meɪd] a — გაკეთებული, დამზადებული
- magazine** [ˌmæɡəˈzi:n] n — ჟურნალი
- magic(al)** ['mædʒɪk(əl)] a — მაგიური; magic square — მაგიური კვადრატი
- magnetic** [mæɡˈnetɪk] a — მაგნიტური; ~ drum — მაგნიტური დოლი; ~ field — მაგნიტური ველი; ~ memory — დამხსოვებელი მოწყობილობა მაგნიტურ ელემენტებზე
- magnetohydrodynamics** ['mæɡnɪtuːˌhaɪdrəʊdɪˈnæmɪks] n — მაგნიტური ჰიდროდინამიკა
- magnification** [ˌmæɡnɪfɪˈkeɪʃ(ə)n] n — გადიდება, გაზრდა
- magnify** ['mæɡnɪfaɪ] v — გადიდება (აღივებს)
- magnitude** ['mæɡnɪtjuːd] n — სიდიდე, ზომა; geometrical ~ გეომეტრიული სიდიდე
- main** [meɪn] a — მთავარი, ძირითადი; ~ principle — ძირითადი პრინციპი; ~ routine — ძირითადი პროგრამა; ◇ in the ~ ძირითადად, უმთავრესად
- major** ['meɪdʒə] a — 1. დიდი; 2. მთავარი, ძირითადი, მნიშვნელოვანი; ~ axis of an ellipse — ელიფსის დიდი ღერძი
- majorant** ['meɪdʒərənt] n — მაკორანტი, მკარბობი (მკარბველი)
- majority** [mə'dʒɔ:ritɪ] n — უმრავლესობა, უმეტესობა
- majorize** ['meɪdʒəraɪz] v — მაკორირება (მაკორირებს), ზემოდან შეფასება
- majorized** ['meɪdʒəraɪzd] a — მაკორირებული, მაკორირებული; ~ series — მაკორირებადი (კარბული) მწკრივი
- majorizing** ['meɪdʒəraɪzɪŋ] a — მაკორანტული, მკარბობი; ~ series — მაკორანტული (მკარბობი) მწკრივი, მაკორანტი
- make** [meɪk] v (made, made [meɪd]) — 1. კეთება (აკეთებს); წარმოება, დამზადება; 2. შედგენა (შეადგენს), გატოლება (უდრის); ◇ two and three ~ five — ორს მიეუმატოთ სამი, უდრის ხუთს; to ~ up — შედგენა, შევსება
- manage** ['mænɪdʒ] v — მართვა (მართავს), მანიპულირება; ხელმძღვანელობა
- management** ['mænɪdʒmənt] n — მართვა, ხელმძღვანელობა; ~ sciences — მართვის მეთოდები
- manifold** ['mænɪfəʊld] I a — მრავალნაირი, მრავალფეროვანი; II n — მრავალსახეობა; მრავალნაირობა; absolute ~ აბსოლუტური მრავალსახეობა; analytic ~ ანალიზური მრავალსახეობა; linear ~ წრფივი მრავალსახეობა; metric ~ მეტრიკული მრავალსახეობა; oriented ~ ორიენტირებული მრავალსახეობა; projective ~ პროექციული მრავალსახეობა; real ~ ნამდვილი მრავალსახეობა; regular ~ რეგულარული მრავალსახეობა
- man-made** ['mænˈmeɪd] a — ხელოვნური
- manner** ['mænə] n — 1. წესი, ხერხი, საშუალება; 2. მანერა, ყაიდა; ◇ in this ~ ამგვარად, ამ გზით

**mantissa** [mæn'tisə] *n* — მანტიסה

**manual** [ˈmænjʊəl] *I a* — ხელისა, ხელით; ~ control — ხელით მართვა, რეგულირება; *II n* — სახელმძღვანელო

**many** [ˈmeni] *a* (more [ma:], most [moust]) — ბევრი, მრავალი; ◇ twice as ~ as — ორჯერ მეტი

**many-stage** [ˈmeniˈsteɪdʒ] *a* — მრავალსაფეხურიანი

**many-valued** [ˈmeniˈvælju:d] *a* — მრავალნიშნა, მრავალსახა; ~ function — მრავალსახა ფუნქცია

**map** [mæp] *I v* — ასახვა (ასახავს); to ~ in (to) — ასახვა -ში; to ~ on (to) — ასახვა -ზე; *II n* — 1. ასახვა, ანასახი; გადასახვა; conformal ~ კონფორმული (გად)ასახვა; 2. რუკა, გეგმა

**mapped** [ˈmæpt] *a* — ასახული

**mapping** [mæpɪŋ] *n* — ასახვა (გადასახვა); ანასახი; affine ~ აფინური ასახვა; analytic ~ ანალიზური ასახვა; conformal ~ კონფორმული ასახვა; linear ~ წრფივი ასახვა, წრფივი ანასახი; monotone ~ მონოტონური ასახვა; nilpotent ~ ნილპოტენტური ასახვა; open ~ ღია ასახვა; projective ~ პროექციული ასახვა; unitary ~ უნიტარული ასახვა; ~ of sets — სიმრავლეთა ასახვა

**mark** [mɑ:k] *I n* — ნიშანი; *II v* — აღნიშვნა (აღნიშნავს), შენიშვნა

**martingale** [ˈmɑ:tɪŋgeɪl] *n* — მარტინგალი

**mass** [mæs] *n* — მასა; გროვა; ~ point — მატერიალური წერტილი, ნივთიერი წერტილი; molecular ~ მოლეკულური მასა; rest ~ უძრაობის მასა; centre of ~ მასის ცენტრი, სიმძიმის ცენტრი; unit ~ ერთეულოვანი მასა

**master** [ˈmɑ:stə] *a* — ძირითადი, მთავარი

რი, წაშყვანი; ~ routine — ძირითადი პროგრამა, წაშყვანი პროგრამა

**material** [mə'tiəriəl] *a* — მატერიალური, ნივთიერი

**mathematical** [ˈmæθɪ'mæ'tɪkəl] *a* — მათემატიკური; ~ expectation — მათემატიკური ლოდინი; ~ induction — მათემატიკური ინდუქცია; ~ logic — მათემატიკური ლოგიკა

**mathematician** [ˌmæθɪmə'tɪʃ(ə)n] *n* — მათემატიკოსი

**mathematics** [ˌmæθɪ'mæ'tɪks] *n* — მათემატიკა; abstract ~, pure ~ წმინდა მათემატიკა; applied ~ გამოყენებითი მათემატიკა; higher ~ უმაღლესი მათემატიკა

**matrix** [ˈmeɪtrɪks] *n* (pl matrices [ˈmeɪtrɪsɪz]) — მატრიცა; characteristic ~ მახასიათებელი მატრიცა; conjugate ~ შეუღლებული მატრიცა; diagonal ~ დიაგონალური მატრიცა; functional ~ ფუნქციონალური მატრიცა; idempotent ~ იდემპოტენტური მატრიცა; inverse ~ ინვერსიული მატრიცა; nilpotent ~ ნილპოტენტური მატრიცა; non-singular ~ არაგანსაკუთრებული მატრიცა; normal ~ ნორმალური მატრიცა; orthogonal ~ ორთოგონალური მატრიცა; periodic ~ პერიოდული მატრიცა; positive ~ დადებითი მატრიცა; primitive ~ პრიმიტიული მატრიცა; singular ~ განსაკუთრებული მატრიცა; unitary ~ უნიტარული მატრიცა; unity ~ ერთეულოვანი მატრიცა, ერთეულმატრიცა; transpose of *a* ~ ტრანსპონირებული მატრიცა; ~ form — მატრიცული ფორმა; ~ -function — მატრიცული ფუნქცია; ~ -valued — მატრიცულნიშვნელობიანი, მატრიცული მნიშვნელობის მქონე

**matrixer** ['meɪtrɪksə] n — მატრიცული სტემა

**matter** ['mætə] I n — 1. მატერია, ნივთიერება; 2. საკითხი, საქმე; 3. შინაარსი, არსი;  $\diamond$  as a ~ of fact — ფაქტიურად, სინამდვილეში; II v — მნიშვნელობის ქონა (მნიშვნელობა აქვს); it does not ~ ამას არა აქვს მნიშვნელობა

**maximal** ['mæksɪmə] a — მაქსიმალური. უდიდესი; ~ value — მაქსიმალური მნიშვნელობა

**maximin** ['mæksɪ'mɪn] n — მაქსიმინი

**maximize** ['mæksɪmaɪz] a — მაქსიმუმის მინიჭება (მაქსიმუმს ანიჭებს), მაქსიმინიზირება

**maximum** ['mæksɪməm] I n (pl maxima ['mæksɪmə]) — მაქსიმუმი, უდიდესი მნიშვნელობა; absolute ~ აბსოლუტური მაქსიმუმი; relative ~ ფარლობითი მაქსიმუმი; ~ condition — მაქსიმუმის პირობა; principle of the ~ მაქსიმუმის პრინციპი; II a — მაქსიმალური, უდიდესი, უმეტესი; ~ likelihood — მაქსიმალური დასაჯერობა, უმეტესი დასაჯერობა; ~ term — მაქსიმალური წევრი; ~ value — მაქსიმალური მნიშვნელობა

**may** [meɪ] v (might [maɪ]) — შეძლება (შეუძლია), ნებართვის ქონა; one ~ ... — შეიძლება, შეგვიძლია

**mean** [mi:n] I n, a — საშუალო; საშუალო მნიშვნელობა, საშუალო სიდიდე; ~ anomaly — საშუალო ანომალია; arithmetic ~ საშუალო არითმეტიკული; geometric ~ საშუალო გეომეტრიული; ~ absolute error — საშუალო აბსოლუტური ცდომილება; ~ curvature — საშუალო სიბრტყე; ~ deviation — საშუალო გადახრა; harmonic ~ საშუალო ჰარმონიული; ~ convergence, convergence in ~ სა-

შუალო აზრით კრებადობა; ~ shear modulus — ძვრის საშუალო მოდული; ~ square error — საშუალო კვადრატული ცდომილება; ~ square deviation — საშუალო კვადრატული გადახრა (სტანდარტული გადახრა); ~ value theorem — საშუალო მნიშვნელობის თეორემა; pl. — საშუალება, გზა, ხერხი,  $\diamond$  by ~s of — მეშვეობით, საშუალებით; მეოხებით; by all ~s ყველა საშუალებით, აუცილებლად, უთოოდ; by any ~s ნებისმიერი გზით; by no ~s არაკითხარ შემთხვევაში, სრულიადაც არ; II v (meant, meant [ment]) — 1. ნიშნა (ნიშნავს), მნიშვნელობა აქვს; 2. მხედველობაში ქონა, გულისხმობა; by x we ~ an arbitrary real number — ვგულისხმობთ, რომ x ნებისმიერი ნამდვილი რიცხვია

**meaning** ['mi:nɪŋ] n — აზრი, მნიშვნელობა

**meanwhile** ['mi:n'waɪl] adv — ამასობაში

**measurability** [ˌmeɪʒə'rə'bɪlɪtɪ] n — ზომადობა

**measurable** ['meɪʒərəbl] a — ზომადი; ~ set — ზომადი სიმრავლე

**measure** ['meɪʒə] n — 1. ზომა; additive ~ ადიტიური ზომა; angular ~ კუთხის ზომა; Lebesgue ~ ლებეგის ზომა; metric ~ მეტრიკული ზომა; radial ~ რადიალური ზომა; square ~ კვადრატული ზომა; ~ algebra — ზომიანი ალგებრა; ~ space — ზომიანი სივრცე; convergence in ~ ზომით კრებადობა; set of ~ zero — ნულზომის სიმრავლე; 2. საზომი, კრიტერიუმი; ~ of sensitivity — გრძნობიერების საზომი

measurement [ˈmeɪzəmənt] n — 1. გაზომვა; 2. pl — ზომები

mechanical [miˈkænɪkəl] a — მექანიკური; ~ energy — მექანიკური ენერჯია

mechanics [miˈkæniks] n — მექანიკა; analytical ~ ანალიზური მექანიკა; applied ~ გამოყენებითი მექანიკა; classical ~ კლასიკური მექანიკა; theoretical ~ თეორიული მექანიკა

mechanism [ˈmekənɪzəm] n — მექანიზმი, მოწყობილობა; feed ~ მიმწოდებელი მექანიზმი, მკვებავი მექანიზმი; tape ~ ლენტგამწევი მექანიზმი

median [ˈmiːdʒən] n — მედიანა; შუა ხაზი, შუაპონაკვეთი; ~ of a triangle — სამკუთხედის მედიანა

medium [ˈmiːdʒəm] n (pl mediums [ˈmiːdʒənz], media [ˈmiːdɪə]) — გარემო, სხეული, ტანი; continuous ~ უწყვეტი ტანი (გარემო); elastic ~ დრეკადი ტანი, დრეკადი სხეული

meet [miːt] v (met, met [met]) — 1. შეხვედრა (ხვდება); 2. გადაკვეთა

member [ˈmembə] n — წევრი; ნაწილი; მხარე (ვანტოლებისა, უტოლოებისა); left ~ მარცხენა ნაწილი; right ~ მარჯვენა ნაწილი

membrane [ˈmembreɪn] n — მემბრანა; ~ theory of shells — გარსთა უმომენტო თეორია

memory [ˈmeməri] n — მეხსიერება, დამსხოვებული (დამმასხოვებელი) მოწყობილობა; external ~ გარე მეხსიერება; high-speed ~ სწრაფმოქმედი დამსხოვებული მოწყობილობა; internal ~ შიგნით მეხსიერება; matrix ~ მატრიცული მეხსიერება; permanent ~ მუდმივი მეხსიერება

mention [ˈmenʃ(ə)n] v — ხსენება (ახსენებს), მოხსენიება; აღნიშნავს;  $\diamond$  it should be ~ ed — უნდა აღინიშნოს, რომ...

not to ~ რომ აღარაფერი ვთქვათ უკვე...

meridian [məˈrɪdiən] n — მერიდიანი; ~ plane — მერიდიანული სიბრტყე

meridional [məˈrɪdiənəl] a — მერიდიანისა, მერიდიანული

meromorphic [ˌmerouˈmɔːfɪk] a — მერომორფული; ~ function — მერომორფული ფუნქცია

meromorphizm [ˌmerouˈmɔːfɪzəm] n — მერომორფიზმი

mesh [meʃ] n — უჯრედი, ბადე; ~ points — ბადის წერტილები

message [ˌmesɪdʒ] n — ცნობა; ინფორმაცია; coded ~ კოდირებული ცნობა

metacentre [ˌmetəˈsentrə] n — მეტაცენტრი

metaharmonic [ˌmetəhɑːˈmɔːnɪk] a — მეტაჰარმონიული; ~ function — მეტაჰარმონიული ფუნქცია

metalanguage [ˌmetəˈlæŋɡwɪdʒ] n — მეტაენა

metamathematical [ˌmetəˈmæθɪˈmætɪkəl] a — მეტამათემატიკური

metamathematics [metəˈmæθɪˈmætɪks] n — მეტამათემატიკა

metatheory [ˌmetəˈθiəri] n — მეტათეორია

meteorology [ˌmiːtjəˈrɒlədʒi] n — მეტეოროლოგია

meter [ˈmiːtə] n — (გა)საზომი ხელსაწყო, მრიცხველი

method [ˈmethəd] n — მეთოდი; წესი, ხერხი; ~ of choice — ამორჩევის მეთოდი; ~ of comparison — შედარების მეთოდი; ~ of elimination — გამოთიხვის მეთოდი; ~ of iteration — იტერაციის მეთოდი; ~ of successive approximations — მიმდევრობითი მიახლოების მეთოდი; ~ of least squares — უმცირეს კვადრატთა მეთოდი; numerical ~ სრიცხვითი მეთოდები

- methodic(al)** [mɪ'mɒdɪk(ə)] a — სისტემატური, მეთოდური
- methodological** [ˌmɛθə'dɒlə'dʒɪkəl] a — მეთოდოლოგიური
- methodology** [ˌmɛθə'dɒlədʒɪ] n — მეთოდოლოგია
- metric** ['metrɪk] la — მეტრიკული, მეტრული; ~ space — მეტრიკული სივრცე; ~ system — მეტრული სისტემა; II n — მეტრიკა; projective ~ პროექციული მეტრიკა
- metrically** ['metrɪkəl] adv — მეტრიკულად; ~ dense — მეტრიკულად მჭიდრო
- metrizable** ['metraɪzəbl] a — მეტრიზებადი; ~ space — მეტრიზებადი სივრცე
- metrization** [ˌmetraɪ'zeɪʃ(ə)n] n — მეტრიზაცია
- metrize** ['metraɪz] v — მეტრიკის შემოტანა (მეტრიკა შემოაქვს), მეტრიზება
- micrometer** [maɪ'krɒmɪtə] n — მიკრომეტრი
- mid-coefficient** ['mɪd,kəʊfɪʃənt] n — საშუალო კოეფიციენტი
- middle** ['mɪdl] I a — შუა, საშუალო; ~ term — საშუალო წევრი; law of excluded ~ მესამის გამორიცხვის წესი; II n — შუაგული, შუაადგილი; ◇ in the ~ of — (რაიმეს) შუაში
- midline** [mɪd'laɪn] n — შუა ხაზი (სამკუთხედისა, ტრაპეციისა)
- midpoint** ['mɪd,pɔɪnt] n — შუა წერტილი, ცენტრი
- midsequent** ['mɪd,sɪ:kwənt] n — საშუალო სეკვენცია
- million** ['mɪljən] n — მილიარდი
- million** ['mɪljən] n — მილიონი
- mind** [maɪnd] n — 1. ქეუა, გონება; 2. მესხიერება; ◇ to bear (keep) in ~ მსოფხება, მხედველობაში ქონა, გათვალისწინება
- miniature** ['mɪnɪətʃə] a — მინიატურული, მცირეგაბარტიანი
- minimal** ['mɪnɪməl] a — მინიმალური, უმცირესი; ~ class — მინიმალური კლასი; ~ surface — მინიმალური ზედაპირი; ~ value — მინიმალური მნიშვნელობა
- minimality** [mɪnɪ'mæɪlɪtɪ] a — მინიმალურობა; ~ condition — მინიმალურობის პირობა
- minimax** ['mɪnɪ'mæks] n — მინიმაქსი; ~ principle — მინიმაქსის პრინციპი
- minimization** [ˌmɪnɪmɪz'eɪʃ(ə)n] n — მინიმიზაცია
- minimize** ['mɪnɪmaɪz] v — მინიმიზამდე დაყვანა (მინიმიზამდე დაჰყავს), მინიმიზება
- minimum** ['mɪnɪməm] n (pl minima ['mɪnɪmə]) — მინიმიუმი; absolute ~ აბსოლუტური მინიმიუმი; relative ~ ფარდობითი მინიმიუმი; ~ condition — მინიმიუმის პირობა; ~ number — მინიმალური რიცხვი
- minor** ['maɪnə] I n — მინორი; principal ~ მთავარი მინორი; II a — მცირე; უმნიშვნელო, მეორეხარისხოვანი; ~ axis of an ellipse — ელიფსის მცირე ღერძი
- minorant** ['maɪnərənt] n — მინორანტი
- minuend** ['mɪnjuənd] n — საკლები
- minus** ['maɪnəs] n — მინუსი, გამოკლების ნიშანი, მინუს ნიშანი; ◇ a ~ b — a მინუს b
- minute** ['mɪnɪt] n — 1. წუთი; 2. მინუტი (კეთხის ზომა)
- mirror** ['mɪrə] n — სარკე; ~ image — სარკეულ ანარეკლი
- misalignment** [ˌmɪsə'lɑɪnmənt] n — არათანაღერძულობა
- miscellaneous** [ˌmɪsɪ'leɪnjəs] a — სხვადასხვაგვარი, შერეული

**misprint** ['mɪs'prɪnt] *n* — კორექტორული შეცდომა

**missile** ['mɪsaɪl] *n* — მსროლელი იარაღი, რაკეტა, ყუმბარა

**mistake** [mɪs'teɪk] *n* — შეცდომა; *by* ~ შეცდომით

**mix** [mɪks] *v* — შერევა (შეურევს, [შე]ერევა), არევა

**mixed** [mɪkst] *a* — შერეული; ~ fraction — შერეული წილადი; ~ group — შერეული ჯგუფი; ~ moment — შერეული მომენტი; ~ (boundary value) problem — შერეული (სასაზღვრო) ამოცანა; ~ variation — შერეული ვარიაცია

**mixture** ['mɪkstʃə] *n* — ნარევი

**mnemonic** [nɪ:'mɒnɪk] *a* — მნემონიკური; ~ circuit, ~ diagram — მნემონიკური სქემა

**mnemonics** [nɪ:'mɒnɪks] *n* — მნემონიკა

**mobile** ['məʊbaɪl] *a* — მოძრავი, მობილური

**mobility** [məʊ'bɪlɪtɪ] *n* — ძვრადობა, მოძრადობა, მოძრაობის უნარი

**modal** ['mɒdl] *a* — მოდალური; ~ logic — მოდალური ლოგიკა

**modality** [məʊ'dælətɪ] *n* — მოდალურობა

**mode** [məʊd] *n* — 1. მეთოდი, საშუალება, ხერხი; mode of production — წარმოების მეთოდი; 2. ფორმა, სახე; 3. მოდა (სტატ.)

**model** ['mɒdl] *n* — ნიმუში, მოდელი; mechanical ~ მექანიკური მოდელი

**modelling** ['mɒdlɪŋ] *n* — მოდელირება

**modern** ['mɒdən] *a* — თანამედროვე, უახლესი

**modification** [ˌmɒdɪfɪ'keɪʃ(ə)n] *n* — სახეცვალეობა; სახის შეცვლა, მოდიფიკაცია

**modified** ['mɒdɪfaɪd] *a* — მოდიფიცირებული

**modify** ['mɒdɪfaɪ] *v* — სახის შეცვლა (სახეს [შე]იცვლის), მოდიფიცირება

**modular** ['mɒdjʊlə] *a* — მოდულური; ~ function — მოდულური ფუნქცია;

~ group — მოდულური ჯგუფი; ~ ideal — მოდულური იდეალი

**modulation** [ˌmɒdju'leɪʃ(ə)n] *n* — მოდულაცია; amplitude ~ ამპლიტუდური მოდულაცია; frequency ~ სიხშირის მოდულაცია; phase ~ ფაზური მოდულაცია

**module** ['mɒdju:l] *n* — მოდული; ~ function — მოდულური ფუნქცია; algebra ~ მოდული ალგებრაზე

**modulo** ['mɒdjʊləu] ლათ. — 1. მოდულით; modulo *p* — *p*-მოდულით; 2. მიმართ; modulo *E* — *E*-ს მიმართ

**modulus** ['mɒdjʊləs] *n* (pl moduli ['mɒdjʊlə]) — მოდული; elastic ~, ~ of elasticity — დრეკადობის მოდული; ~ of a complex number — კომპლექსური რიცხვის მოდული; ~ of continuity — უწყვეტობის მოდული; Young's ~ იუნგის მოდული

**molecule** ['mɒlɪkjʊ:l] *n* — მოლეკულა

**moment** ['məʊmənt] *n* — მომენტი; bending ~ მღუნავი მომენტი; central ~ ცენტრალური მომენტი; mixed ~ შერეული მომენტი; ~ of a force — ძალის მომენტი; ~ of inertia — ინერციის მომენტი; ~ of mass — სტატიკური მომენტი

**momentum** [məʊ'mentəm] *n* (pl momenta [məʊ'mentə]) — მოძრაობის რაოდენობა, იმპულსი; angular ~, moment of ~ მოძრაობის რაოდენობის მომენტი, კინეტიკური მომენტი

**monodromy** [məʊ'nɒdrəmi] *n* — მონოდ-

- რომია; ~ group — მონოდრომის ჯგუფი
- monogenic** [ˈmɒnɒdʒenɪk] a — მონოგენური; ~ function — მონოგენური ფუნქცია
- monograph** [ˈmɒnɒgrə:f] n — მონოგრაფია
- monoid** [ˈmɒnɔɪd] n — ნახევარჯგუფი ანუ მონოიდი
- monomial** [mɔˈnɒmɪəl] n — ერთწევრი, მონომი; ~ representation — მონომური (ერთწევრული) წარმოდგენა
- monomorphic** [ˌmɒnɒ(m)ˈmɔ:ɪrɪk] a — მონომორფული; ~ mapping — მონომორფული ასახვა
- monotone** [ˈmɒnətəʊn] a — მონოტონური, ერთსახოვანი; ~ (non)-decreasing function — მონოტონური (არა)კლებადი ფუნქცია; ~ (non)-increasing function — მონოტონური (არა)ზრდადი ფუნქცია
- monotonic** [ˈmɒnətəʊnɪk] = monotone
- monotonically** [ˌmɒnəʊˈtɒnɪkəlɪ] adv — მონოტონურად
- Monte-Carlo method, Monte-Carlo technique** — მონტე-კარლოს მეთოდი
- monthly** [ˈmʌnθli] I a — ყოველთვიური; II n — ყოველთვიური ჟურნალი; III adv — ყოველთვიურად
- more** [mɔ:] I a (much და many - ს შედარებითი ხარისხი) — მეტი; დამატებითი; II adv — მეტად; კიდევ; ◇ ~ or less — ცოტად თუ ბევრად, მეტნაკლებად, the ~ ... the ~ .. — რაც უფრო... მით უფრო..., once ~ ერთხელ კიდევ; one ~ კიდევ ერთი; the ~ so — მითუმეტეს; what is ~ რაც უფრო მნიშვნელოვანია; ამას გარდა
- moreover** [mɔ:ˈrəʊvə] adv — გარდა ამისა, უფრო მეტიც
- most** [maʊst] I a (much და many-ს დამატებითი ხარისხი) უდიდესი, უმეტესი; II adv — ყველაზე მეტად, უმეტესად; ◇ for the ~ part — უმეტესწილად, უმთავრესად; at ~, at the ~ არა უმეტეს
- mostly** [ˈmaʊstli] adv — მეტწილად, უმთავრესად
- motion** [ˈməʊʃ(ə)n] n — მოძრაობა; absolute ~ აბსოლუტური მოძრაობა; accelerated ~ აჩქარებული მოძრაობა; continuous ~ უწყვეტი მოძრაობა; curvilinear ~ მრუდწირული მოძრაობა; laws of ~ მოძრაობის კანონები, მექანიკის კანონები
- motive** [ˈməʊtɪv] I a — მამოძრავებელი; ~ force — მამოძრავებელი ძალა; II n — მოტივი, საბაბი
- motor** [ˈməʊtə] n — მტორი, ძრავა
- movability** [ˌmu:vəˈbɪlɪtɪ] n — მოძრაობა, მოძრაობის უნარი
- movable** [ˈmu:vəblɪ] a — მოძრავი
- move** [mu:v] I v — მოძრაობა (მოძრაობს); გადაადგილება, გადანაცვლება; II n — სვლა; chance ~ შემთხვევითი სვლა
- movement** [ˈmu:vmənt] n — მოძრაობა; გადაადგილება, გადანაცვლება
- moving** [ˈmu:vɪŋ] a — მოძრავი, სრიალი; ~ boundary — მოძრავი საზღვარი; ~ average method — სრიალა საშუალოთა მეთოდი
- mu** [mjʌ:, mu:] n — ბერძ. მიუ
- much** [mʌtʃ] I a (more, most) — ბევრი (იხმარება უთვლად არსებით სახელგობთან); II adv — ძლიერ, ძალიან; ბევრად, მნიშვნელოვნად, გაცილებით; ◇ ~ more — გაცილებით მეტი
- multangular** [ˈmʌltɪˈæŋɡjʊlə] a — მრავალკუთხა
- multiaddress** [ˈmʌltɪˌædres] a — მრავალმისამართიანი; ~ system — მრავალმისამართიანი სისტემა

**multichannel** ['mʌltɪtʃænl] a — მრავალ-  
არხიანი

**multicircuit** ['mʌltɪ, sɜ: kɪt] a — მრავალ-  
კონტურიანი

**multicollinearity** ['mʌltɪkə, lɪnɪ 'æritɪ] n  
— მულტიკოლინეარობა

**multidifferential** ['mʌltɪ, dɪfə'renʃəl] a  
— მულტიდიფერენციალური

**multidigit** ['mʌltɪdɪdʒɪt] a — მრავალნი-  
შნა, მრავალთანივიანი; ~ integer —  
მრავალნიშნა (მთელი) რიცხვი

**multidimensional** ['mʌltɪdɪ'menʃənəl] a  
— მრავალგანზომილებიანი

**multigrade** ['mʌltɪgreɪd] a — მრავალხა-  
რისხობიანი; ~ equation — მრავალ-  
ხარისხობიანი განტოლება

**multigroup** ['mʌltɪ'gru:p] n — მრავალ-  
ჯგუფი, მულტიჯგუფი

**multilinear** ['mʌltɪ'li:nɪəl] a — მულტილი-  
ნეური, პოლილინეური, მრავალწრ-  
ფივი; ~ form — მრავალწრფივი ფორ-  
მა

**multinomial** ['mʌltɪ'nəʊmɪəl] I n —  
მრავალწევრი ანუ პოლინომი; II a —  
მრავალწევრა ანუ მულტინომიალუ-  
რი; ~ distribution — მულტინომია-  
ლური განაწილება

**multiphase** ['mʌltɪ'feɪz] a — მრავალფა-  
ზა

**multiplace** ['mʌltɪpleɪs] a — მრავალნი-  
შნა, მრავალადგილიანი; ~ number —  
მრავალნიშნა რიცხვი

**multiple** ['mʌltɪpl] I a — ჯერადი; ~  
correlation — ჯერადი კორელაცია;  
~ integral — ჯერადი ინტეგრალი;  
~ projection — ჯერადი პროექცია;  
~ regression — ჯერადი რეგრესია;  
~ root — ჯერადი ფესვი; II n — ჯერა-  
დი (მაგ. რიცხვი); least common ~  
(l. c. m.) — უმცირესი საერთო ჯერა-  
დი
- similar** ['sɪmlə] a — მსგავსი, ანალოგიური, ერთგვაროვანი; ~ matrices — მსგავსი მატრიცები; ~ radicals — მსგავსი რადიკალები; ~ triangles — მსგავსი სამკუთხედები; ~ terms — მსგავსი წევრები;  $\diamond$  in a ~ way — ანალოგიურად, მსგავსად
- similarity** [sɪmɪ'lærɪti] n — მსგავსება, ანალოგია; ~ of triangles — სამკუთხედთა მსგავსება
- similarly** ['sɪmləli] adv — ანალოგიურად, მსგავსად
- similitude** [sɪ'mɪlɪtju:d] n — მსგავსება, პომოთეტიკა; centre of ~ მსგავსების ცენტრი
- simple** [sɪmpl] a — მარტივი, ელემენტარული; ~ arc — მარტივი რკალი; ~ closed curve — მარტივი ჩაკეტილი წირო; ~ fraction — მარტივი წილადი; ~ pole — მარტივი პოლუსი; ~ root — მარტივი ფესვი; ~ sampling — მარტივი (შემთხვევითი) შერჩევა
- simplex** ['sɪmpleks] n — სიმპლექსი; absolute ~ აბსოლუტური სიმპლექსი; Euclidean ~ ევკლიდეს სიმპლექსი; geometrical ~ გეომეტრიული სიმპლექსი; neutral ~ ნეიტრალური სიმპლექსი; topological ~ ტოპოლოგიური სიმპლექსი
- simplex-method** ['sɪmpleks'meθəd] n — სიმპლექს-მეთოდი
- simplicial** [sɪm'plɪʃəl] a — სიმპლექსური
- simplicity** [sɪm'plɪsɪti] n — სიმარტივე
- simplification** [ˌsɪmplɪfɪ'keɪʃ(ə)n] n — გამარტივება
- simplified** ['sɪmplɪfaɪd] a — გამარტივებული, უმარტივესი; ~ fraction — უკვეთი წილადი
- simplify** ['sɪmplɪfaɪ] v — გამარტივება (მარტივებს)
- simply** ['sɪmplɪ] adv — მარტივად, უბრალოდ; ~ connected region — ცალბეული (მარტივად ბმული) არე; ~ supported end — თავისუფლად დაყრდნობილი ბოლო (საზღვარი)
- simulation** [ˌsɪmjʊ'leɪʃ(ə)n] n — მოდელირება; analogue ~ უწყვეტ პროცესთა მოდელირება
- simultaneous** [sɪmʌl'tenjəs] a — ერთდროული, თანადროული; ~ distribution — ერთდროული განაწილება
- simultaneously** [ˌsɪmʌl'tenjəsli] adv — ერთდროულად
- since** [sɪns] I adv - დან, იმ დროიდან; II conj — 1. მას შემდეგ, რაც; ever ~ იმ დროიდან დაწყებული; 2. იმიტომ, რომ; ვინაიდან, რადგანაც
- sine** [saɪn] n — სინუსი; hyperbolic ~ ჰიპერბოლური სინუსი; law of ~ სინუსების თეორემა
- single** ['sɪŋɡl] a — ერთი, ერთადერთი; ერთეული, ცალკეული; ~ error — ერთეული შეცდომა
- single-address** ['sɪŋɡl'ædres] a — ერთმისამართიანი; ~ code — ერთმისამართიანი კოდი
- single-digit** ['sɪŋɡl'dɪdʒɪt] a — ერთთაფ-

- რიგოვანი; ~ adder — ერთთანრიგო-  
ვანი სუმატორი
- single-stage** ['sɪŋɡl'steɪdʒ] a — ერთსა-  
ფეხუროვანი
- single-valued** ['sɪŋɡl'vælju:d] a — ცალსა-  
ხა; ~ function — ცალსახა ფუნქცია
- singular** ['sɪŋɡjʊlə] I a — განსაკუთრე-  
ბული, სინგულარული; ~ form — გა-  
ნსაკუთრებული ფორმა; ~ integral  
— სინგულარული ინტეგრალი; ~ ma-  
trix — განსაკუთრებული მატრიცა;  
~ point — განსაკუთრებული წერტი-  
ლი; ~ solution (of a differential equa-  
tion) — (დიფერენციალური განტო-  
ლების) განსაკუთრებული ამოხსნა;  
II n — მხოლოდითი რიცხვი (არს. სა-  
ხელთა)
- singularity** [ˌsɪŋɡjʊ'larɪti] n — განსა-  
კუთრებულობა, თავისებურება; alge-  
braic ~ ალგებრული განსაკუთრებუ-  
ლობა; logarithmic ~ ლოგარითმუ-  
ლი განსაკუთრებულობა; removable  
~ აცილებადი განსაკუთრებულობა;  
point of ~ განსაკუთრებული წერ-  
ტილი
- sinuous** ['sɪnjuəs] a — ტალღისებრი
- sinusoid** ['saɪnəsɔɪd] n — სინუსოიდი
- sinusoidal** [ˌsaɪnəsɔɪ'dəl] a — სინუსოი-  
დური
- situated** ['sɪtʃu'eɪtɪd] a — განლაგებული,  
მდებარე; to be ~ ყოფნა (იმყოფება,  
მდებარეობს), განლაგება
- situation** ['sɪtʃu'eɪʃ(ə)n] n — 1. ადგი-  
ლმდებარეობა; 2. სიტუაცია, მდგომარე-  
ობა, ვითარება
- six** [sɪks] n — ექვსი
- sixteen** ['sɪks'ti:n] n — თექვსმეტი
- sixteenth** ['sɪks'ti:nθ] a — მეთექვსმეტე
- sixth** [sɪksθ] a — მეექვსე
- sixtieth** ['sɪkstiθ] a — შესამოცე
- sixty** ['sɪksti] n — სამოცი
- size** [saɪz] n — ზომა, სიდიდე, მოცულო-  
ბა; sample ~ შერჩევის მოცულობა
- sketch** [sketʃ] I n — ესკიზი, ნახაზი;  
II v — მოხაზვა (ზოგადად), ესკიზის  
შედგენა (ესკიზს ადგენს)
- skew** [skju:] a — ირიბი, ასიმეტრიული;  
~ lattice — ირიბი წარმოქმნილი;  
~ representation — ირიბი წარმოდგენა
- skewness** ['skju:nɪs] n — (მომქ.) ასიმეტ-  
რია
- skew-symmetric** ['skju:sɪ'metrik] a —  
ირიბსიმეტრიული; ~ matrix — ირიბ-  
სიმეტრიული მატრიცა; ~ tensor —  
ირიბსიმეტრიული ტენზორი
- skin** [skɪn] n — კანი, ზედა ფენა, გარსი
- sky** [skaɪ] n — ცა
- slant** [slɑːnt] a — ირიბი, დახრილი, და-  
ქანებული
- slender** ['slendə] a — თხელი, ვიწრო
- slide** [slaɪd] v (slid, slid [slɪd]) — სრია-  
ლი (სრიალებს), დაცურება; ~ rule  
— ლოგარითმული სახაზავი
- slight** [slaɪt] a — უმნიშვნელო, სუსტი
- slightly** ['slaɪtli] adv — ოდნავ, უმნიშ-  
ვნელოდ
- slit** [slɪt] n — (სიგრძივი) ჭრილი
- slope** [sləʊp] n — დახრილობა, დაქა-  
ნება; curve of constant ~ მუდმივი  
დახრილობის მქონე მრუდი
- slow** [sləʊ] a — ნელი, თანდათანობითი
- slowly** ['sləʊli] adv — ნელა
- small** [smɔ:l] a — პატარა, მცირე, უმ-  
ნიშვნელო; ◇ in the ~ მცირე მასლო-  
ბლობაში
- smallest** ['smɔ:lɪst] a (ზედს. small-ის  
აღმატებითი ხარისხი) — უმცირესი,  
მინიმალური; ~ chain — მინიმალური  
ჭაჭვი
- smooth** [smu:ð] I a — გლუვი, სწორი;  
~ curve — გლუვი წირი; ~ mani-  
fold — გლუვი მრავალსახეობა; ~  
surface — გლუვი ზედაპირი; II v —

გასწორება (ასწორება); to ~ down — შერბილება (მაგ. წინააღმდეგობის)

**smoothness** ['smu:ðnis] n — სიგლუვე, სისწორე

**so** [sau] adv — ასე, ამგვარად, ამრიგად; ამდენად; ამიტომ, მამასადამე; ◇ so far — აქამდე, ჯერჯერობით, ჯერ კიდევ; so far as — იმდენად, რამდენადაც; so that — იმისათვის, რომ; so to say — ასე ვთქვათ; and so on, and so forth — და ასე შემდეგ; the more so — განსაკუთრებით, მითუმეტეს

**so-called** ['sou'kɔ:ld] a — ეგრეთ წოდებული

**soft** [sɒft] a — რბილი, ღუნვანი; მსუბუქი

**software** ['sɔft'weə] n — პროგრამული (მათემატიკური) უზრუნველყოფა; არა-მარატული პროგრამული მოწყობილობა; დაპროგრამების საშუალებები; interpretive ~ მინტერპრეტირებული პროგრამების სისტემა

**sole** [səʊl] a — ერთადერთი

**solenoid** ['səʊləɪd] n — სოლენოიდი

**solenoidal** [səʊləɪd(ə)] a — სოლენოიდური; ~ group — სოლენოიდური ჯგუფი

**solid** ['sɒlɪd] I a — 1. მკვრივი, მყარი, მტკიცე; ~ body — მყარი სხეული; 2. სივრცითი, სივრცული; ~ angle — სივრცითი კუთხე; II n — 1. სხეული; ~ of revolution — ბრუნვის სხეული; mechanics of ~ მექანიკის სხეულთა მექანიკა; 2. ფიზ. მყარი სხეული

**solidity** [sɒ'lɪdɪti] n — სიმყარე

**solitary** ['sɒlɪtəri] a — განმარტობელი; ~ wave — განმარტობული ტალღა

**solubility** [sə'lju'bɪlɪti] n — ამოხსნადობა

**soluble** ['sɒljubl] a — ამოხსნადი

**solution** [sə'lju:ʃ(ə)n] n — ამოხსნა, ამოხსნა; გადაწყვეტა, გადაჭრა (საკითხისა); პასუხი (ამოცანისა, მაგალითისა და ა. შ.); approximate ~

~ მიახლოებითი ამოხსნა; general ~ ზოგადი ამოხსნა; partial ~, particular ~ კერძო ამოხსნა, კერძო ამოხსნა; trivial ~, zero ~ ნულოვანი ამოხსნა, ნულოვანი ამოხსნა

**solvability** [sɒlvə'bɪlɪti] n — ამოხსნადობა

**solvable** ['sɒlvəbl] a — ამოხსნადი; ~ equation — ამოხსნადი განტოლება; ~ group — ამოხსნადი ჯგუფი

**solve** [sɒlv] v — ამოხსნა (ამოცანის). გადაწყვეტა, (საკითხის) გადაჭრა

**some** [sʌm] a — რაიმე, რომელიმე; ზოგი, ზოგიერთი; რამდენიმე; ცოტადენი; ◇ in ~ way — გარკვეულად, რამდენადმე

**somehow** ['sʌmhaʊ] adv — როგორმე, რამენაირად; ◇ ~ or other — ასე თუ ისე

**something** ['sʌmθɪŋ] pron — რაიმე, რაღაც

**sometimes** ['sʌmtaɪmz] adv — ზოგჯერ

**somewhat** ['sʌmwaɪt] adv — რამდენადმე, ნაწილობრივ

**somewhere** ['sʌmweə] adv — სადმე, სადღაც

**sonic** ['sɒnɪk] a — ბგერითი

**soon** [su:n] adv — ჩქარა, მალე, სწრაფად; as ~ as — როგორც კი

**sort** [sɔ:t] I n — სახე, სახეობა, გვარი, ტიპი; II v — დახარისხება (ახარისხება)

**sorting** ['sɔ:ɪtɪŋ] n — დახარისხება, კლასიფიცირება; automatic ~ ავტომატური დახარისხება; data ~ მონაცემების დახარისხება

**sought** [sɔ:t] (ზმნა seek-ის (ძებნა) past და past participle) — საძებნი, საძიებელი; ~ for function — საძიებელი ფუნქცია

- sound** [saund] I n — ბგერა; ~ field — ბგერითი ველი; ~ wave — ბგერითი ტალღა; II a — სწორი, სიმართლე, დასაბუთებული; ~ argument — დამაჯერებელი არგუმენტი
- source** [sa:s] n — წყარო; პირველმთხვენი, სათავე; information ~ ინფორმაციის წყარო; light ~ სინათლის წყარო
- south** [sauθ] I n — სამხრეთი; II a — სამხრეთისა, სამხრეთული
- space** [speis] n — 1. სივრცე, არე; abstract ~ აბსტრაქტული სივრცე; affine ~ აფინური სივრცე; analytic ~ ანალიზური სივრცე; Banach ~ ბანახის სივრცე; bicomact ~ ბიკომპაქტური სივრცე; compact ~ კომპაქტური სივრცე; complex ~ კომპლექსური სივრცე; convex ~ ამოზნექილი სივრცე; discrete ~ დისკრეტული სივრცე; dual ~ დუალური სივრცე; elliptic ~ ელიფსური სივრცე; Euclidean ~ ევკლიდეს სივრცე; Hausdorff ~ ჰაუსდორფის სივრცე; Hilbert ~ ჰილბერტის სივრცე; hyperbolic ~ ჰიპერბოლური სივრცე; linear ~ წრფივი სივრცე; metric ~ მეტრიკული სივრცე; normal ~ ნორმალური სივრცე; normed ~ ნორმირებული სივრცე; open ~ ღია სივრცე; phase ~ ფაზური სივრცე; projective ~ პროექციული სივრცე; Riemannian ~ რიმანის სივრცე; separable ~ სეპარაბელური სივრცე; stable ~ მდგრადი სივრცე; unitary ~ უნიტარული სივრცე; 2. მანძილი, ინტერვალი, ზონა; dead ~ უგრძობლობის ზონა, მკვდარი ზონა
- spatial** ['speiʃəl] a — სივრცითი, სივრცული; ~ problem — სივრცითი ამოცანა
- speak** [spi:k] v (spoke [spoke], spoken [spoukn]) — ლაპარაკი (ლაპარაკობს),

- საუბარი; ◊ generally ~ ing — ზოგადად რომ ვთქვათ, საერთოდ
- special** ['speʃəl] a — სპეციალური, განსაკუთრებული, კერძო; ~ case — კერძო შემთხვევა
- specially** ['speʃəli] adv — სპეციალურად, განსაკუთრებით
- species** ['spi:ʃi:z] n (pl. შეუცვლელად) — სახეობა, გვარი, კატეგორია; set of the first (second) ~ პირველი (მეორე) კატეგორიის სიმრავლე
- specific** [spi:'sɪfɪk] a — 1. განსაკუთრებული, დამახასიათებელი, სპეციფიკური; 2. ხვედრითი; ~ gravity, ~ weight — ხვედრითი (კუთონი) წონა
- specified** ['spesɪfaɪd] a — დადგენილი, დაუსტებელი
- specify** ['spesɪfaɪ] v — დადგენა (დაიადგენს), ზუსტად განსაზღვრა
- spectral** ['spektrəl] a — სპექტრული; ~ analysis — სპექტრული ანალიზი; ~ decomposition — სპექტრული დაშლა; ~ density — სპექტრული სიმკვრივე; ~ family — სპექტრული ოჯახი; ~ function — სპექტრული ფუნქცია; ~ sequence — სპექტრული მიმდევრობა
- spectrum** ['spektrəm] n (pl spectra ['spektrə]) — სპექტრი; continuous ~ უწყვეტი სპექტრი; projective ~ პროექციული სპექტრი; ~ analysis — სპექტრული ანალიზი
- speed** [spi:d] n — სიჩქარე, სისწრაფე; critical ~ კრიტიკული (კრიზისული) სიჩქარე; input ~ შეტანის სიჩქარე; output ~ გამოტანის სიჩქარე; reading ~ (მონაცემების) წაითხვის სიჩქარე
- sphenoid** ['sfɪnɔɪd] a — სოლისებრი
- sphere** [sfɪə] n — 1. სფერო, ბურთი; circumscribed ~ (მრავალწახნაგზე)

- შემოხაზული სფერო; inscribed ~ (მრავალწახნაგში) ჩახაზული სფერო; 2. მოქმედების არე, ასპარეზი; კომპეტენცია
- spherical** ['sferikəl] a — სფერული, სფეროსებრი; ~ coordinates — სფერული კოორდინატები; ~ harmonic — სფერული ჰარმონიული ფუნქცია; ~ metric — სფერული მეტრიკა; ~ segment — სფერული სეგმენტი; ~ space — სფერული სივრცე; ~ triangle — სფერული სამკუთხედი; ~ trigonometry — სფერული ტრიგონომეტრია; ~ zone — სფერული სარტყელი
- spherically** ['sferikəl] adv — სფერულად; ~ symmetric(al) — სფერულად სიმეტრიული
- sphericity** [sfi'risiti] n — სფერულობა
- spherics** ['sferiks] n — სფერული გეომეტრია, სფერული ტრიგონომეტრია
- spheroid** ['sfəroid] n — სფეროიდი
- spheroidal** [sfiə'roidl] a — სფეროიდული
- spin** [spi:n] n — სპინი; nuclear ~ ბირთვული სპინი
- spinode** ['spainod] n — (წირის) უკუქცევის წერტილი
- spinor** ['spainɔ] n — სპინორი
- spiral** ['spairəl] I n — სპირალი, ზვია; hyperbolic ~ ჰიპერბოლური სპირალი; parabolic ~ პარაბოლური სპირალი; ~ of Archimedes — არქიმედეს სპირალი. არქიმედეს ზვია; II a — სპირალური, ზრახნული; ~ surface — სპირალური ზედაპირი
- split** [splɪt] v (split, split [split]) — გახლეჩა/წლეჩხ, იბლიჩება, გამოზა:დაშლა
- splitting** ['splitɪŋ] I a ⊥ გამხლეჩი; ~ homomorphism — გამხლეჩი ჰომომორფიზმი; II n — გახლეჩა, გამოზა
- spread** [sprɛd] v (spread, spread [sprɛd])

- გავრცელება (ვრცელდება, ავრცელებს), გა(ნ)ვრცობა, დაფენა
- spring** [sprɪŋ] I n — 1. პირველწყარო, სთავე, საწყისი; 2. ზამბარა; II v (sprang [sprɑ:ŋ], sprung [sprʌŋ]) — 1. ბტომა (ბტის); 2. წარმოშობა, წარმოქმნა
- spur** [spɜ:] n — კვალი; ~ of a matrix — მატრიცის კვალი
- squarability** [ˌskwɛəə'bilɪti] n — ფართობადობა, კვადრირება
- squarable** ['skwɛəəəbl] a — ფართობადი, კვადრირებადი
- square** [skweɪ] I n — კვადრატის, მეორე ხარისხის; perfect ~ სრული კვადრატის; II a — კვადრატული, მართკუთხა; ~ brackets — კვადრატული ფრჩხილები; ~ measure — კვადრატული ზომი; ~ root — კვადრატული ფესვი; III v — კვადრატში აყვანა (კვადრატში აპყავს)
- squarer** ['skwɛəə] n — კვადრატორი
- squaring** ['skwɛəəɪŋ] n — კვადრატურა; ~ the circle — წრის კვადრატურა
- stability** [stə'bilɪti] n — მდგრადობა, სტაბილურობა; asymptotic ~ ასიმპტოტური მდგრადობა; dynamic ~ დინამიკური მდგრადობა; elastic ~ დრეკადი მდგრადობა; frequency ~ სიხშირეთა მდგრადობა; statistical ~ სტატისტიკური მდგრადობა; ~ criterion — მდგრადობის კრიტერიუმში
- stabilization** [ˌsteɪbɪlaɪ'zeɪʃ(ə)n] n — სტაბილიზაცია
- stabilize** ['steɪbɪlaɪz] v — სტაბილიზება (სტაბილიზდება)
- stabilizer** ['steɪbɪlaɪzə] n — სტაბილიზატორი
- stable** ['steɪbl] a — მდგრადი, სტაბილური; შედმივი, სტაციონარული; მყარი, მკვიცი; ~ axis (of rotation) — (ბრუნვის) მდგრადი ღერძი; ~ equi-

- librium — მდგრადი წონასწორობა; ~ point — მდგრადი წერტილი; ~ process — მდგრადი (სტაციონარული) პროცესი
- stage** [steɪdʒ] n — სტადია, ფაზა, ეტაპი, საფეხური
- stagnation** [stæŋ'neɪʃ(ə)n] n — შეჩერება, შენელება; ~ point — შეჩერების წერტილი
- stand** [stænd] v (stood, stood [stud]) — დგომა (დგას), გაჩერება, ყოფნა, განლაგება, მდებარეობა; ◇ to ~ for — აღნიშვნა; to ~ the test — გამოცდის გაძლება
- standard** ['stændəd] I n — სტანდარტი, ნიმუში; II a — სტანდარტული, ნორმალური, ტიპური; ~ deviation — სტანდარტული ანუ საშუალო კვადრატული გადახრა; ~ equation — ნორმალური განტოლება; ~ error — სტანდარტული ცდომილება; ~ ring — სტანდარტული რგოლი
- standardization** ['stændədaɪ'zeɪʃ(ə)n] n — ნორმალიზაცია, სტანდარტიზაცია, ნორმირება
- standardized** ['stændədaɪzɪd] a — ნორმალიზებული, სტანდარტიზებული; ~ quantity, ~ variable — სტანდარტიზებული სიდიდე
- standing** ['stændɪŋ] a — მუდმივი, მდგარი; ~ wave — მდგარი ტალღა
- standpoint** ['stændpɔɪnt] n — თვალსაზრისი; from this ~ ამ თვალსაზრისით
- star** [stɑ:] I n — ვარსკვლავი; ~ of a vertex — წვეროს ვარსკვლავი; II a — ვარსკვლავური; ~ body — ვარსკვლავური სხეული; ~ convergence — ვარსკვლავური კრებადობა; ~ region — ვარსკვლავური არე; ~ bounded — ვარსკვლავურად შემოსაზღვრული; ~ finite (covering) — ვარსკვლავურად სასრული (დაფარვა)
- starlike** ['stɑ:lɪk] a — ვარსკვლავისებრი
- starshaped** ['stɑ:ʃeɪpɪ] a — ვარსკვლავის ფორმის, ვარსკვლავისებრი; ~ set — ვარსკვლავისებრი სიმრავლე
- start** [stɑ:] I n — დაწყება, სტარტი, ამუშავება; ~ button — ასამუშავებელი (ამუშავების) ღილაკი; II v — დაწყება (იწყებს), გაშვება, ამუშავება
- starter** ['stɑ:tə] n — სტარტერი
- starting** ['stɑ:tɪŋ] a — საწყისი, დაწყებითი, ამოსავალი; ~ point — ამოსავალი წერტილი
- state** [steɪt] I n — მდგომარეობა, ვითარება; ~ of stress, ~ of tension — დაძაბული მდგომარეობა; II v — დადგენა (დადასტურება), ჩამოყალიბება, კონსტანტირება, ფორმულირება
- statement** ['steɪtmənt] n — დებულება, მტკიცება, ფორმულირება
- static(al)** ['stætɪk(əl)] a — სტატიკური, უძრავი; static load — სტატიკური დატვირთვა; static moment — სტატიკური მომენტი; static stability — სტატიკური მდგრადობა
- statics** ['stætɪks] n — სტატიკა
- stationary** ['steɪʃnəri] a — სტაციონარული, უმოძრაო, ჩამდგარი; ~ field — სტაციონარული ველი; ~ point — სტაციონარული წერტილი, უძრაობის წერტილი; ~ process — სტაციონარული პროცესი; ~ state — სტაციონარული მდგომარეობა, სტაციონარული ნახევარგუბი; ~ time series — სტაციონარული დროითი მწკრივი
- statistic** [stə'tɪstɪk] n — სტატისტიკა; sufficient ~ საკმარისი სტატისტიკა

- statistic(al)** [stə'tɪstɪk(əl)] *a* — სტატისტიკური; **statistic analysis** — სტატისტიკური ანალიზი; **statistic independence** — სტატისტიკური დამოუკიდებლობა
- statistically** [stə'tɪstɪkəlɪ] *adv* — სტატისტიკურად
- statistician** [ˌstætɪs'tɪʃən] *n* — სტატისტიკოსი
- statistics** [stə'tɪstɪks] *n* — სტატისტიკა
- steadily** [ˈstedɪli] *adv* — უცვლელად, მუდმივად, მდგრადად
- steady** [ˈstedɪ] *a* — მყარი, მდგრადი, უცვლელი, ჩამდგარი; ~ **state** — მყარი მდგომარეობა, წონასწორობის მდგომარეობა
- steady-state** [ˈstedɪˌsteɪt] *a* — სტაციონარული, ჩამდგარი, ჩამოყალიბებული; ~ **error** — სტაციონარული ცდომილება
- steep** [sti:p] *a* — ციცაბო
- steepest** [ˈsti:pɪst] *a* — (ზედს. steep-ის აღმატებითი ხარისხი); **method of ~ descent** — უსწრაფესი დაშვების მეთოდი
- step** [step] *n* — ნაბიჯი, ბიჯი; საფეხური, სტადია; **distribution ~ განაწილების ბიჯი**; **maximum ~ მაქსიმალური ბიჯი**; ~ **function** — კიბისებრი ფუნქცია
- steradian** [stɪ'reɪdɪən] *n* — სტერადიანი
- stereographic** [ˌstɛrɪəʊ'græfɪk] *a* — სტერეოგრაფიული; ~ **projection** — სტერეოგრაფიული პროექცია, სტერეოგრაფიული გეგმილი
- stereometric(al)** [ˌstɛrɪəʊ'metɪk(əl)] *a* — სტერეომეტრიული
- stereometry** [ˌstɛrɪəʊ'mɪtri] *n* — სტერეომეტრია
- stiff** [stɪf] *a* — მაგარი, ბისტო
- stiffness** [ˈstɪfnɪs] *n* — სიმაგრე, სიხისტე; **bending ~ სიხისტე ღუნვისას**
- still** [stɪl] *adv* — აქამდე, ჯერ კიდევ; მაგრამ, მაინც, მიუხედავად ამისა
- stochastic** [stou'kæstɪk] *a* — სტოქასტური; ალბათური, შემთხვევითი; ~ **continuity** — სტოქასტური უწყვეტობა; ~ **integral** — სტოქასტური ინტეგრალი; ~ **matrix** — სტოქასტური მატრიცა; ~ **process** — სტოქასტური პროცესი, შემთხვევითი პროცესი
- stochastically** [stou'kæstɪkəlɪ] *adv* — სტოქასტურად, შემთხვევით
- stock** [stɒk] *n* — მარაგი, ინვენტარი, ფონდი
- stop** [stɒp] I *v* — გაჩერება (ჩერდება), შეჩერება, შეფერხება, დაყოვნება; შეწყვეტა; II *n* — შესვენება, პაუზა; **full ~ წერტილი (სასენი ნიშანი)**
- storage** [ˈstɔ:ɪdʒ] *n* — 1. შენახვა, დაგროვება; 2. დამხსოვებელი მოწყობილობა; (გამომთვლელი მანქანის) მეხსიერება; **buffer ~ ბუფერული (შუალედური) მეხსიერება**; **computer ~ გამომთვლელი მანქანის მეხსიერება**; **external ~ გარე მეხსიერება**; **internal ~ შიგა მეხსიერება**
- straight** [streɪt] *a* — პირდაპირი, სწორი; ~ **line** — წრფე, წრფეწირობა; სწორი ხაზი
- strain** [streɪn] *n* — დეფორმაცია; **elastic ~ დრეკადი დეფორმაცია**; **homogeneous ~ ერთგვაროვანი დეფორმაცია**; **plane ~ ბრტყელი დეფორმაცია**; **principal ~ ძირითადი დეფორმაცია**; **shearing ~ ძერის დეფორმაცია**; **unit ~ ერთეული დეფორმაცია**; **volumetric ~ მოცულობითი დეფორმაცია**; ~ **tensor** — დეფორმაციის ტენზორი
- strategy** [ˈstrætɪdʒɪ] *n* — სტრატეგია; **mixed ~ ნარევი სტრატეგია**; **pure ~ წმინდა სტრატეგია**
- stratified** [ˈstrætɪfaɪd] *a* — განზრევე-

- ბული, ფენოვანი; ~ sample — განშრევებული შერჩევა (ამოკრეფა)
- stratum** ['strɑ:təm] n (pl strata ['strɑ:tə]) — ფენა, შრე
- stream** [stri:m] n — ნაკადი, დინება; ~ function — დენის ფუნქცია
- strength** [streŋθ] n — ძალა, გამძლეობა; სიმაგრე, წინაღობა; uniform ~ ტოლწინაღობა; ~ of materials — მასალათა გამძლეობა
- strengthen** ['streŋθən] v — გაძლიერება (აძლიერებს, ძლიერდება), განმტკიცება
- stress** [stres] n — ძაბვა, დაძაბულობა; ~-strain relation — „ძაბვა-დეფორმაციის“ კანონი (ჰუკის კანონი); internal ~ შიგა ძაბვა; normal ~ ნორმალური ძაბვა; radial ~ რადიალური ძაბვა; residual ~ ნარჩენი ძაბვა; tangential ~ მხები ძაბვა; ~ deviator — ძაბვის დევიატორი; ~ tensor — ძაბვის ტენზორი
- stretch** [streɪtʃ] v — გაჭიმვა (ჭიმავს, იჭიმება)
- strict** [strikt] a — ზუსტი, მკაცრი; ~ convexity — მკაცრი ამოზნექილობა; ~ inequality — მკაცრი უტოლობა
- strictly** ['striktli] adv — ზუსტად, სწორად, მკაცრად; ~ convex (space) — მკაცრად ამოზნექილი (სივრცე); ~ decreasing — მკაცრად კლებადი; ~ increasing — მკაცრად ზრდადი
- strip** [stri:p] n — ზოლი
- strong** [strɒŋ] a — ძლიერი; ~ convergence — ძლიერი კრებადობა; ~ maximum — ძლიერი მაქსიმუმი; ~ summability — ძლიერი შეკამებადობა; ~ topology — ძლიერი ტოპოლოგია
- strongly** ['strɒŋli] adv — ძლიერად, მკაცრად; ~ connected — ძლიერად ბმული; ~ elliptic — ძლიერად ელიფსური
- strophoid** ['strɒfɔɪd] n — სტროფოიდი
- structural** ['strʌktʃərəl] a — სტრუქტურული
- structurally** ['strʌktʃərəli] adv — სტრუქტურულად
- structure** ['strʌktʃə] n — აგებულება, სტრუქტურა, წყობა; analytic ~ ანალიზური სტრუქტურა; projective ~ პროექციული სტრუქტურა
- study** ['stʌdi] I v — შესწავლა (შეისწავლის), გამოკვლევა, განხილვა; II n — მეცნიერული ნაშრომი, მონოგრაფია; ◇ under ~ შესასწავლი, განსახილველი
- subadditive** [ˌsʌb'ædɪtɪv] a — სუბადიტიური
- subalgebra** [ˌsʌb'ældʒɪbrə] n — ქვეალგებრა
- sub-block** [ˌsʌb'blɒk] n — ქვებლოკი
- subclass** [ˌsʌb'kleɪs] n — ქვეკლასი
- subclass** [ˌsʌb'kleɪs] n — ქვეკლასი
- subcomplex** [ˌsʌb'kɒmpleks] n — ქვეკომპლექსი
- subcovering** [ˌsʌb'kʌvərɪŋ] n — ქვედაფარვა
- subdivision** [ˌsʌbdɪ'vɪʒ(ə)n] n — ქვედაყოფა, ქვედანაყოფი
- subdomain** [ˌsʌbdə'meɪn] n — ქვეარე
- subgraph** ['sʌb,grɑ:f] n — ქვეგრაფი
- subgroup** ['sʌb,gru:p] n — ქვეჯგუფი
- subharmonic** [ˌsʌbhɑ:'mɒnɪk] a — სუბჰარმონიული
- subideal** ['sʌb,aɪdeɪl] n — ქვეიდეალი
- subinterval** [ˌsʌb'ɪntə:vəl] n — ქვეინტერვალი
- subinvariant** [ˌsʌbɪn'veəriənt] n — ქვეინვარიანტი
- subject** ['sʌbdʒɪkt] n — თემა, საგანი, ობიექტი; საკითხი; on the ~ (of) — თემაზე, გამო; II a — დაქვემდებარებული (to); ◇ ~ to — იმ პირობით,

- რომ; შესაბამისად; III v [səb'dʒekt] — დაქვემდებარება (ქვემდებარება), დამორჩილება
- sublinear** ['sablɪnɪə] a — ქვეწრფივი
- submanifold** [səb'mænɪfəʊld] n — ქვე-მრავალსახეობა
- submatrix** [səb'mætrɪks] n — ქვემატრიცა
- submetric** ['səb'metrɪk] n — ქვემეტრიკა
- submodel** ['səb'məʊdl] n — ქვემოდელი
- subneighbourhood** ['səb,neɪbə'hu:d] n — ქვემასლობლობა
- subnormal** ['səb'nɔ:nəl] I a — სუბნორმალური, ნორმალქვეშა; II n — ქვენორმალი
- subordination** [sə,bə:di'neɪʃ(ə)n] n — სუბორდინაცია, დაქვემდებარება
- subprogram** [səb'prəʊgræm] n — ქვეპროგრამა
- subprojective** [səbprə'dʒektɪv] a — სუბპროექციული, ქვეპროექციული
- subregion** ['səb,rɪ:dʒən] n — ქვეარე
- subring** ['səb,rɪŋ] n — ქვევარგოლი
- subroutine** ['səbru:ti:n] n — ქვეპროგრამა; input ~ შესატანი ქვეპროგრამა; library ~ ბიბლიოთეკის ქვეპროგრამა
- subscript** ['səbskrɪpt] n — (ქვედა) ინდექსი; double ~s ორმაგი (ქვედა) ინდექსები
- subsemigroup** ['səb,semɪgru:p] n — ქვენახევარჯგუფი
- subsequence** ['səbsɪkwəns] n — ქვემიმდევრობა
- subsequently** ['səbsɪkwəntli] adv — შემდგომ; შემდეგში
- subset** ['səb,sel] n — ქვესიმრავლე; proper ~ საკუთარი (საკუთრივი) ქვესიმრავლე
- subsidiary** [səb'sɪdʒɪəri] a — დამხმარე, დამატებითი; მცორეხარისხოვანი; ~ deduction — დამხმარე დასვენა
- substance** ['sʌbstəns] n — მატერია, ნეოთიერება; არსი
- subspace** ['sʌb,spes] n — ქვესივრცე
- substantial** [səb'stæɪnʃəl] a — 1. სუბსტანციური; ნეოთიერი, მატერიალური; 2. არსებითი, მნიშვნელოვანი; შესამჩნევი, აშკარა, ცხადი
- substitute** ['sʌbstɪtju:t] v — შეცვლა (ცვლის), შენაცვლება, ჩანაცვლება
- substitution** [səb'stɪ'tju:ʃ(ə)n] n — შეცვლა; ჩასმა; შენაცვლება; free ~ თავისუფალი ჩასმა; linear ~ წრფივი ჩასმა; orthogonal ~ ორთოგონალური ჩასმა; trigonometric ~ ტრიგონომეტრიული ჩასმა; elimination by ~ (უცნობის) გამორიცხვა ჩასმის საშუალებით; ~ rule — ჩასმის წესი
- subsystem** ['sʌb,sɪstɪm] n — ქვესისტემა
- subtangent** ['sʌb'tændʒənt] n — მხებქვეშა
- subtend** [səb'tend] v — მოკერა (უკერს), მოქიშვა
- subtle** ['sʌtl] a — ფაქიზი, ნატიფი, დახვეწილი; ~ theorem — ფაქიზი თეორემა
- subtract** [səb'trækt] v — გამოკლება (აკლებს)
- subtraction** [səb'trækʃ(ə)n] n — გამოკლება; ~ formula — გამოკლების ფორმულა
- subtrahend** ['sʌbrəhend] n — მაკლები
- subunit** ['sʌb'ju:nɪt] n — ქვეერთეული
- succession** [sək'sesj(ə)n] n — მიმდევრობა, თანამიმდევრობა; in ~ ერთიმეორის მიყოლებით, თანამიმდევრობით
- successive** [sək'sesɪv] a — მიმდევრობითი, მომდევნო; ~ approximation — მიმდევრობითი მიახლოება; method of ~ approximations — მიმდევრობითი მიახლოებათა მეთოდი; ~ differentiation — მიმდევრობითი დიფერენცირება, მიმდევრობითი გაწარმოება

such [sʌtʃ] a — ასეთი, ამგვარი; ◇ ~ as — როგორც მაგალითად; ისეთი, როგორც; ~ that — ისეთი, რომ

suffice [sə'faɪs] v — ყოფნა (ყოფნის), დამკაყოფილება; ◇ it ~s to say, ~ it to say — საკმარისია თქვას; it ~s to show — საკმარისია ვაჩვენოთ

sufficiency [sə'fɪʃənsi] n — საკმარისობა

sufficient [sə'fɪʃənt] a — საკმარისი; necessary and ~ (condition) — აუცილებელი და საკმარისი (პირობა); it is ~ საკმარისია

sufficiently [sə'fɪʃəntli] adv — საკმარისად, საკმაოდ

suggest [sə'dʒest] v — რჩევა (ურჩევს), წინადადების მიცემა, აზრის გამოთქმა, დაშვება

suggestion [sə'dʒestʃ(ə)n] n — წინადადება, აზრი, დაშვება; ◇ to make a ~ აზრის გამოთქმა, წინადადების მიცემა

suit [sju:t] v — შეფერება (შეეფერება), გამოდგომა, ვარგისობა (ვარგისია)

suitable ['sju:təbl] a — შესაფერისი, სათანადო, ვარგისი

sum [sʌm] | n — ჯამი; algebraic ~ ალგებრული ჯამი; direct ~ პირდაპირი ჯამი; orthogonal ~ ორთოგონალური ჯამი; partial ~ of an infinite series — უსასრულო მწკრივის კერძო ჯამი; vector ~ ვექტორული ჯამი; II v — to ~ up — შეჯამება (აჯამებს), რეზიუმირება; დასკვნის გაკეთება

summability [ˌsʌmə'bɪlɪtɪ] n — შეჯამებადობა; absolute ~ აბსოლუტური შეჯამებადობა; normal ~ ნორმალური შეჯამებადობა; regular ~ რეგულარული შეჯამებადობა

summable ['sʌməbl] a — შეჯამებადი; absolutely ~ (series) — აბსოლუტურად შეჯამებადი (მწკრივი); uniformly

~ (series) — თანაბრად შეჯამებადი (მწკრივი)

summand ['sʌmænd] n — შესაკრები  
summarize ['sʌməraɪz] v — შეჯამება (აჯამებს), რეზიუმირება

summary ['sʌməri] n — დასკვნა, რეზიუმე, მოკლე შინაარსი

summation [sʌ'meɪʃ(ə)n] n — შეჯამება, დაჯამება; double ~ ორმაგი შეჯამება; finite ~ სასრული შეჯამება; infinite ~ უსასრულო შეჯამება; ~ sign — შეჯამების ნიშანი

summiator ['sʌmətə] n — სუმატორი, ამაჯამავი

sun [sʌn] n — მზე

super-additive [ˌsju:pə're'dɪtɪv] a — ზეადიტიური

supercompact [ˌsju:pəkəm'pækt] a — ზეკომპაქტური

supercomplex ['sju:pə'kɒmpleks] n — სუპერკომპლექსი

supercritical [ˌsju:pə'krɪtɪkəl] a — ზეკრიტიკული

superharmonic [ˌsju:pə'ha:mɒnɪk] a — სუპერჰარმონიული, ზეჰარმონიული

superior [sju:'piəriə] a — უმაღლესი, ზედა; ~ limit, limit ~ ზედა ზღვარი

supernormal ['sju:pə'no:mə] a — ზენორმალური, სუპერნორმალური

superosculating [ˌsju:pə'ɒskju:lətɪŋ] a — პირველ რიგზე მაღალი თანახების მქონე

superosculation [ˌsju:pə'ɒskju:'leɪʃ(ə)n] n — პირველ რიგზე უფრო მაღალი თანახება

superparabolic ['sju:pə'pərə,bɒlɪk] a — ზეპარაბოლური

superposition [ˌsju:pə'pəʊzɪʃ(ə)n] n — სუპერპოზიციაც; შეთავსება; დადება, დაფენა

superscript ['sju:pəskrɪpt] n — ზედა ინდექსი, ხარისხის მაჩვენებელი

- superstationary** [sju:pə'stæʃənəri] a — ზესტაციონარული
- supplement** [ˈsʌplɪmənt] n — დამატება, შევსება; დანართი
- supplemental** [ˌsʌplɪ'mentl] a — დამატებითი, შემავესებელი
- supplementary** [ˌsʌplɪ'mentəri] a — დამატებითი, შემავესებელი; ~ angle — დამატებითი კუთხე
- supply** [sə'plai] v — მომარაგება (ამარაგებს), მიწოდება, კვება
- support** [sə'pɔ:t] n — საყრდენი; ~ function — საყრდენი ფუნქცია; plane of ~ საყრდენი სიბრტყე; II v — დადასტურება (ადასტურებს), მხარის დაჭერა
- supported** [sə'pɔ:tɪd] a — დაყრდნობილი; simply ~ end — თავისუფლად დაყრდნობილი ბოლო (საზღვარი)
- suppose** [sə'pəuz] v — ვარაუდი (ვარაუდობს), დაშვება
- supposing** [sə'pəuzɪŋ] cj — თუკი; ◇ always ~ იმ პირობით, რომ
- supposition** [ˌsʌpə'zɪʃ(ə)n] n — ვარაუდი, დაშვება
- supremum** [ˌsju'premə] n (pl suprema [sju'premə]) — (ზესტი) ზედა საზღვარი
- surd** [sə:d] I a — ირაციონალური; II n — ირაციონალური გამოსახულება, ირაციონალური რიცხვი; ირაციონალურობა; pure ~ ირაციონალური გამოსახულება, რომლის ყველა წევრი ირაციონალურია
- sure** [ʃʊə] a — ნამდვილი, უეჭველი; საიმედო, სწორი; დარწმუნებული; to be ~, to make ~ რათა დარწმუნდეთ, რომ
- surely** [ˈʃʊəli] adv — უეჭველად, ნამდვილად; რასაკვირველია
- surface** [ˈsɜ:fɪs] n — ზედაპირი; algebratic ~ ალგებრული ზედაპირი; closed ~ ჩაეცილი ზედაპირი; conic ~ კონუსური ზედაპირი; free ~ თავისუფალი ზედაპირი; minimal ~ მინიმალური ზედაპირი; polar ~ პოლარული ზედაპირი; regression ~ რეგრესიის ზედაპირი; tangential ~ შეხების ზედაპირი; translation ~ გაღატანის ზედაპირი; ~ of revolution — ბრუნვის ზედაპირი; ~ area — ზედაპირის ფართობი
- surround** [sə'raʊnd] v — გარშემოხევა (გარს ეხვევა), გარშემორტყმა
- survey** [sə'vei] I v — მიმოხილვა (მიმოხილავს), გამოკვლევა, შესწავლა; II n [ˈsə:veɪ] — მიმოხილვა, დათვალიერება, შესწავლა
- suspension** [səs'penʃ(ə)n] n — ჩამოკიდება
- sway** [sweɪ] v — ქანობა (ქანობს), რხევა
- sweep** [swi:p] n — გამოხვევა; ~ing out method — გამოხვეტის მეთოდი
- swing** [swɪŋ] v (swung, swung [swʌŋ]) — რხევა (ირხევა), ქანობა, მერყეობა
- swirl** [swɔ:l] n — გრივალი
- switch** [swɪtʃ] I n — ამორთველი, გადამრთველი; matrix ~ მატრიცული გადამრთველი; range ~ დიაპაზონთა გადამრთველი; II v — გადაყვანა (გადაკეცავს), ჩართვა; to ~ off — ამორთვა, გამორთვა; to ~ on — ჩართვა
- syllogism** [ˈsɪlədʒɪzəm] n — სილოგიზმი; categorical ~ კატეგორიული სილოგიზმი; hypothetical ~ ჰიპოთეზური სილოგიზმი
- symbol** [ˈsɪmbəl] n — სიმბოლო, ნიშანი, აღნიშვნა; algebraic ~ s ალგებრული სიმბოლოები
- symbolic** [sɪm'bɒlɪk] a — სიმბოლური; ~ logic — სიმბოლური ლოგიკა
- symbolism** [ˈsɪmbəlɪzəm] n — სიმბოლიზმი, სიმბოლიკა

- symmetric(al)** [si'metrik(ə)] *a* — სიმეტრიული; **symmetric algebra** — სიმეტრიული ალგებრა; ~ **function** — სიმეტრიული ფუნქცია; ~ **group** — სიმეტრიული ჯგუფი; ~ **tensor** — სიმეტრიული ტენზორი
- symmetrization** [si'metri'zeiʃ(ə)n] *n* — სიმეტრიზაცია, სიმეტრიზება
- symmetrize** ['simitraiz] *v* — დასიმეტრირება (ასიმეტრიებს), სიმეტრიზება
- symmetry** ['simitri] *n* — სიმეტრია; **axis of ~** — სიმეტრიის ღერძი; **centre of ~** — სიმეტრიის ცენტრი; ~ **principle** — სიმეტრიის პრინციპი
- symplectic** [sim'plektik] *a* — სიმპლექსური; ~ **space** — სიმპლექსური სივრცე
- symposium** [sim'pouzjəm] *n* (pl **symposia** [sim'pouzjə]) — 1. სიმპოზიუმი, კონფერენცია; 2. თემატური კრებული (სხვადასხვა ავტორთა სტატიებისა)
- synchronization** [ˌsɪŋkrəni'zeiʃ(ə)n] *n* — სინქრონიზაცია
- synchronize** ['sɪŋkrənaɪz] *v* — გასინქრონება (ასინქრონებს), სინქრონიზება
- synchronizing** ['sɪŋkrənaɪzɪŋ] *a* — მასინქრონებელი, სინქრონიზაციისა; ~ **circuit** — სინქრონიზაციის სქემა
- synchronous** ['sɪŋkrənəs] *a* — ერთდროული, სინქრონული
- syntax** ['sɪntæks] *n* — სინტაქსი
- synthesis** ['sɪnθɪsɪs] *n* (pl **syntheses** ['sɪnθɪsɪz]) — სინთეზი; **logical ~** — ლოგიკური სინთეზი

- synthesize** ['sɪnθɪsaɪz] *v* — სინთეზირება (სინთეზირებას ახდენს)
- synthesizer** ['sɪnθɪsaɪzə] *n* — სინთეზატორი; **Fourier ~** — ჰარმონიული სინთეზატორი
- synthetic** [sɪn'tetɪk] *a* — სინთეზური; ~ **geometry** — სინთეზური გეომეტრია
- system** ['sɪstɪm] *n* — სისტემა; **algebraic ~** — ალგებრული სისტემა; **axiomatic ~**, ~ **of axioms** — აქსიომათა სისტემა; **computing ~** — გამოთვლელი მანქანა, გამოთვლელი მოწყობილობა; **coordinate ~**, ~ **of coordinates** — კოორდინატთა სისტემა; **dynamic ~** — დინამიკური სისტემა; **fundamental ~** — ფუნდამენტური სისტემა; **left-handed ~** — მარცხენა სისტემა; **orthonormal ~** — ორთონორმირებული სისტემა; **power ~** — ენერგოსისტემა; **regular ~** — რეგულარული სისტემა; **residue class ~** — ნაშთთა სისტემა; **right-handed ~** — მარჯვენა სისტემა
- systematic** [ˌsɪstɪ'mætɪk] *a* — სისტემატური; ~ **error** — სისტემატური ცდომილება; ~ **fraction** — სისტემატური წილადი
- systematization** [ˌsɪstɪməti'zeiʃ(ə)n] *n* — სისტემატიზაცია
- systematize** ['sɪstɪmətaɪz] *v* — დასისტემატება (ასისტემატებს), სისტემატიზება
- systemic** [sɪs'temɪk] *a* — სისტემისა, სისტემური

## T

**table** [teɪbl] *n* — 1. ცხრილი, ტაბულა; ~ **of logarithms** — ლოგარითმების ცხრილი; **multiplication ~** — გამრავლების ტაბულა; **truth ~** — კვანძების ცხრილი

ლი; ~ **of contents** — სარჩევი (წიგნისა); 2. მაგიდა, სტენდი

**tabular** ['tæbjulə] *a* — ცხრილური, ცხრილისა; ~ **difference** — ცხრილური სხვაობა

tabulate ['tæbjuleɪt] v — ცხრილების შედგენა (ცხრილებს ადგენს)

tabulator ['tæ:bjuleɪtə] n — ტაბულატორი

taclocus ['tæk,loukəs] n — შეხების წერტილთა გეომეტრიული ადგილი

tacnode ['tæknəʊd] n — (წირის) თვით-შეხების წერტილი

tapoint ['tækpɔɪnt] n — (წირთა ოჯახის) შეხების წერტილი

tact [tækt] n — ტაქტი, პერიოდი

take [teɪk] v (took [tʊk], taken [teɪk(ə)n]) — 1. აღება (იღებს); 2. მიღება, მიჩნევა; ◇ to ~ away — გამოკლება, მოშორება, მოცილება; to ~ part — მონაწილეობის მიღება; to ~ place — მოხდომა (ხდება), ადგილის ქონა; it ~s საჭიროა

talk [tɔ:k] v — საუბარი (ესაუბრება); განხილვა

tangency ['tændʒənsɪ] n — შეხება, ხება; point of ~ შეხების წერტილი

tangent ['tændʒənt] I a — მხები; ~ cone — მხები კონუსი; ~ deformation — მხები დეფორმაცია; ~ plane — მხები სიბრტყე; II n — 1. მხები; 2. ტანგენსი; ~ law — ტანგენსთა თეორემა

tangential [tæŋ'dʒenʃəl] a — მხები, ტანგენციური, ტანგენსური; ~ acceleration — მხები აჩქარება; ~ coordinates — მხები (ტანგენციური) კოორდინატები; ~ space — მხები სივრცე; ~ surface — მხები ზედაპირი; ~ vector — ტანგენციური ვექტორი

tape [teɪp] n — ლენტი, ფირი; ~ drive — ლენტგამწევი მექანიზმი; magnetic ~ მაგნეტური ფირი; paper ~ ქაღალდის ფირი; punched ~ პერფორირებული ფირი

task [tɑ:sk] n — ამოცანა; დაეალება

tau [tau] n — ბერძ. ტაუ

tautochrone ['tɔ:ləkrəʊn] n — ტავტოქრონა

tautological [tɔ:lə'lədʒɪkəl] a — ტავტოლოგიური

tautology [tɔ:'tɔlədʒɪ] n — ტავტოლოგია

teach [ti:tʃ] v (taught, taught [tɔ:t]) — სწავლება (ასწავლის)

technical ['teknɪkəl] a — ტექნიკური, სამრეწველო

technics ['teknɪks] n — ტექნიკა, ტექნიკური მეცნიერებანი

technique [tek'nɪ:k] n — 1. ტექნიკა; 2. მეთოდი, ხერხი; მეთოდოლოგია

telegraph ['telɪgrɑ:f] n — ტელეგრაფი; ~ equation — ტელეგრაფის განტოლება

telescope ['telɪskəʊp] n — ტელესკოპი

telescopic ['telɪskəʊpɪk] a — ტელესკოპური

tell [tel] v (told, told [təʊld]) — 1. თქმა (ამბობს), მოყოლა, თხრობა; 2. ცნობება (აცნობებს), შეტყობინება; 3. გარჩევა, განსხვავება (from)

temperature ['tɛmpɪrɪʃə] n — ტემპერატურა

ten [ten] n — ათი, ათეული; ~s digit — ათეული თანრიგი

tend [tend] v — მისწრაფება (მისწრაფვის), სწრაფვა; ◇ to ~ to infinity — უსასრულობისაკენ სწრაფვა; to ~ to the limit — ზღვარისაკენ სწრაფვა; to ~ to zero — ნულისაკენ სწრაფვა

tendency ['tendənsɪ] n — ტენდენცია, მიდრეკილება

tensile ['tɛnsəl] a — გამჭიმავი, კიშვადი; ~ force — გამჭიმავი ძალა

tension ['tɛnʃ(ə)n] n — დაჭიმულობა, გაჭიმვა, დაკიშვა, გამჭიმავი ძალა; surface ~ ზედაპირული დაჭიმვა

tensor ['tɛnsə] n — ტენზორი; contravariant ~ კონტრავარიანტული ტენზორი; covariant ~ კოვარიანტული

ტენზორი; mixed ~ შერეული ტენზორი; strain ~, deformation ~ დეფორმაციის ტენზორი; stress ~ ძაბვის ტენზორი; ~ analysis — ტენზორული ანალიზი; ~ product — ტენზორული ნამრავლი; components of a ~ ტენზორის კომპონენტები

tentative [ˈtɛntətɪv] a — წინასწარი, სავარაუდო; საცდელი, ექსპერიმენტული

tenth [tɛnθ] a — მათე

term [tɜ:m] n — 1. წევრი; absolute (constant) ~ თავისუფალი წევრი; mean ~, medium ~, middle ~ შუა წევრი; 2. ტერმინი — pl 1. გამოთქმები; 2. პირობები; ◇ in ~ s of — აზრით, თვალსაზრისით; ტერმინებით, მნიშვნელობით; საფუძველზე

terminal [ˈtɜ:mɪnəl] a — უკანასკნელი, საბოლოო

terminate [ˈtɜ:mɪneɪt] v — დამთავრება (ამთავრებს, მთავრდება), დასრულება, დაბოლოება

terminology [ˌtɜ:mɪˈnɒlədʒɪ] n — ტერმინოლოგია

ternary [ˈtɜ:nəri] a — სამმაგი, სამობითი, ტერნარული; ~ quadratic form — ტერნარული კვადრატული სახე; ~ relation — ტერნარული მიმართება; ~ representation of numbers — რიცხვთა სამობითი წარმოდგენა

terrestrial [tɪˈrestriəl] a — დედამიწისა, დედამიწისეული

tesseral [ˈtesərəl] a — ტესერალური; ~ harmonic — ტესერალური სფერული ფუნქცია

test [test] I v — გამოცდა (გამოცდის), შემოწმება, ცდის ჩატარება; II n — 1. კრიტერიუმი, ნიშანი; ~ for uniform convergence — თანაბარი კრებალობის ნიშანი; goodness of fit ~ თანხმობის კრიტერიუმი; most powerful ~

უმძლავრესი კრიტერიუმი; sign ~ ნიშნების კრიტერიუმი; significance ~ მნიშვნელობის კრიტერიუმი; ~ of homogeneity — ერთგვაროვნების კრიტერიუმი; ~ of normality — ნორმალურობის კრიტერიუმი; 2. გამოცდა, შემოწმება, ტესტი; model ~ მოდელის გამოცდა; ~ program — ტესტ-პროგრამა; ◇ under ~ გამოსაცდელი testing [ˈtestɪŋ] n — გამოცდა, შემოწმება; program ~ პროგრამის გამოცდა, პროგრამის შემოწმება

tetragon [ˈtɛtrəɡɒŋ] n — ოთხკუთხედი tetrahedral [ˌtɛtrəˈhɛdrəl] a — ოთხწახნაგოვანი, ტეტრაედრული; ~ angle — ოთხწახნაგოვანი კუთხე; ~ numbers — ტეტრაედრული რიცხვები

tetrahedron [ˈtɛtrəˈhedrɒn] n — ტეტრაედრი, ოთხწახნაგა; regular ~ წესიერი ტეტრაედრი, წესიერი ოთხწახნაგა

than [ðæn] c j — ვიდრე; ◇ more ~ უფრო მეტი, ვიდრე... no sooner ~ როგორც კი

that [ðæt] I pron (pl those [ðəʊz]) — ის (ჩვენებითი ნაცვალსახელი); II c j — რომ; რათა; it is clear ~ ცხადია, რომ... ◇ for all ~ მიუხედავად (ყველაფერი) ამისა, მაინც; in order ~ იმიტომ, რომ; იმისათვის, რომ; so ~ ისე, რომ; იმისათვის, რომ; ~ is — ესე იგი

the [ði:, ðɪ] — განსაზღვრული არტიკლი; ◇ the... the... — რაც ... მით; ~ sooner ~ better — რაც უფრო ადრეა, მით უკეთესი

then [ðen] I adv — მაშინ; შემდეგ, მერე; II c j — მაშასადამე, ამ შემთხვევაში; ◇ by ~ იმ დროისათვის; now and ~ დროდადრო, დროგამოშვებით; since ~ იმ დროიდან, მას შემდეგ

theorem [ˈθiərəm] n — თეორემა, დებულება; ergodic ~ ერგოდიული თეორემა; existence ~ არსებობის დებუ-

- ლება, არსებობის თეორემა; mean value ~ საშუალო მნიშვნელობის თეორემა; uniqueness ~ ერთადერთობის თეორემა
- theoretic(al)** [θiə'retɪk(əl)] a — თეორიული; ~ mechanics — თეორიული მექანიკა
- theory** ['θiəri] n — თეორია; axiomatic ~ აქსიომატური თეორია; classical ~ კლასიკური თეორია; formal ~ ფორმალური თეორია; function ~ ფუნქციითა თეორია; group ~ ჯგუფთა თეორია; informal ~ შინაარსობრივი თეორია; number ~ რიცხვთა თეორია; ~ of elasticity — დრეკადობის თეორია; ~ of measure — ზომის თეორია; ~ of probability — ალბათობის თეორია
- there** [ðeə] adv — იქ, იქითკენ; ◇ ~ is — არის, იმყოფება; ~ are — არიან, იმყოფებიან
- thereafter** [ðeə'ɑ:ftə] adv — აქედან დაწყებული, ამის მიხედვით
- thereby** ['ðeə'bi] adv — ამასთან დაკავშირებით, ამის შედეგად, ამის გამო
- therefore** ['ðeəfɔ:] adv — შესაბამისად, ამიტომ, მამასადამე
- therm** [θə:m] n — თერმო
- thermal** ['θə:məl] a — სითბოსი, სითბური, თერმული; ~ conductivity — (სი)თბოგამტარობა
- thermodynamic** ['θə:mou'daɪ'næmɪk] a — თერმოდინამიკური
- thermodynamics** ['θə:mou'daɪ'næmɪks] n — თერმოდინამიკა
- thermo-electricity** ['θə:mou'ɪlek'trɪsɪti] n — თერმოელექტრობა
- these** [ði:z] pl. ob. this [ðɪs]
- thesis** ['θɪ:sɪs] n (pl theses ['θɪ:sɪ:z]) — 1. თეზისი; დებულება; 2. დისერტაცია; candidate's ~ საკანდიდატო დისერტაცია; doctoral ~ სადოქტორო დისერტაცია
- theta** ['θi:tə, θeɪtə] n — ბერძ. თეტა; ~ functions — თეტა-ფუნქციები
- they** [ðeɪ] pron — ისინი; ◇ ~ say — ამბობენ
- thick** [θɪk] a — 1. სქელი, მსხვილი; 2. მკიდრო, ხშირი
- thickness** ['θɪknis] n — სისქე; variable ~ ცვლადი სისქე
- thin** [θɪn] a — თხელი; წვრილი.
- thing** [θɪŋ] n — 1. საგანი, ნივთი; 2. საქმე; ფაქტი; გარემოება; ◇ the ~ is — საქმე ისაა, რომ... for one ~ ... — ვერ ერთი...
- think** [θɪŋk] v (thought, thought [θɔ:t]) — 1. ფიქრი (ფიქრობს); 2. ჩათვლა, მიჩნევა; ◇ to ~ over — გარჩევა; განხილვა
- third** [θa:d] a — მესამე
- thirdly** ['θa:dli] adv — მესამეც...
- thirteen** ['θi:tɪ:n] n — ცამეტი
- thirteenth** ['θi:tɪ:nθ] a — მეცამეტე
- thirtieth** ['θi:tɪnθ] a — ოცდამეათე
- thirty** ['θɜ:tɪ] n — ოცდაათი
- this** [ðɪs] pron (pl these) — ეს (ჩვენებითი ნაცვალსახელი); ◇ like ~ ასე, ამგვარად; ~ time — ამგვარად
- thorough** ['θʌrə] a — სრული; სრულყოფილი, მთელი; დაწვრილებითი, საფუძვლიანი
- thoroughly** ['θʌrəli] adv — საესებით, მთლიანად, საფუძვლიანად; გულდასმით
- those** [ðəuz] pl. ob. that
- though** [ðəu] cj — თუმცა ◇ as ~ თითქოს; even ~ კიდევ რომ; ~ც კი
- thought** [θɔ:t] n — აზრი, ფიქრი; აზროვნება
- thousand** ['θaʊzənd] n — ათასი
- thousandth** ['θaʊzəntθ] a — მეათასე
- thread** [θred] n — ძაფი; proof ~ დამტკიცების გზა

three [θri:] n — სამი; rule of ~ სამთა წესი

three-dimensional [θri:di'menʃənl] a — სამგანზომილებიანი

three-edged [θri:edʒd] a — სამწახნაგოვანი

three-parameter [θri:pə'ræmitə] a — სამპარამეტრიანი

through [θru:] prep — ით, -თ, გზით; გაელით, საშუალებით; a straight line passing ~ the point — წერტილზე გამავალი წრფე; გამო, მიზეზით; ~ error — შეცდომის გამო; ◇ to look ~ გადათვალიერება

throughout [θru:'aut] I adv — ყველგან, მთლიანად; ყოველმხრივ; II prep — თავიდან ბოლომდე; მთელ მანძილზე, (მთელი დროს) განმავლობაში

throw [θrou] v (throw [θru:], thrown [θroun]) — [გადა]სროლა ([გადა]ისვრის), გადაგდება

thumb [θʌm] n — ცერი; rule of ~ ემპირიული წესი, ემპირიული ხერხი

thus [ðʌs] adv — 1. ასე, ამგვარად; 2. ამ გზით, ასე მაგალითად; 3. ამიტომ, მაშასადამე; ◇ ~ far — აქამდე; ამ ადგილამდე

tie [taɪ] I n — კავშირი, ბმა; II v — შეკვრა (კრავს, იკვრება); შეერთება, გადაბმა, დაკავშირება

tilde [ˈtɪld] n — ტილდა; x ~ —x ტალღიანი

till [tɪl] I prep — მდე; ◇ ~ now — აქამდე; II conj — იმ დრომდე, სანამ, იქამდე

time [taɪm] n — 1. დრო; 2. წერი, ტაქტი, პერიოდი; access ~ ამორჩევის დრო, ამოკრფვის დრო; (computer) dead ~ (მანქანის) მოცდენის დრო; delay ~ დაყოვნების დრო; discrete ~ დისკრეტული (უწყვეტი) დრო; machine ~ მანქანური დრო; transfer ~

გადაცემის დრო; waiting ~ ლოდინის დრო; ~ interval — დროის ინტერვალი; ~ scale — დროის სკალა, დროის მასშტაბი; ~ series — დროითი მწკრივი; 3.—წერი; two ~s, three ~s ორწერი, სამწერი; ◇ at ~s ზოგჯერ, ხანდახან, დროდადრო; from ~ to ~, ~ after ~ დროდადრო, განმეორებით; in ~ დროულად, თავის დროზე; ~ and again — დროდადრო, არაერთხელ, არაერთგზის

timer [ˈtaɪmə] n — საათი, ქრონომეტრი; ტიმიერი

title [ˈtaɪtl] n — ტიტული, სათაური (წიგნისა, ნაშრომისა)

to [tu] prep (მიმართულების აღმნიშვნელი) -ზე, -ში, -კენ, -მდე; from left to right — მარცხნიდან მარჯვნივ (მარჯვნივსკენ); to infinity — უსასრულობისკენ; II part — იხმარება ინფინიტივის გადმოსაცემად; ◇ it is necessary to know — აუცილებელია ვიცოდეთ (ცოდნა)

together [tə'geðə] adv — ერთად; ერთდროულად; ~ with — ერთად, -თან

Tokamak — ტოკამაკი

too [tu:] adv — 1. აგრეთვე; 2. მეტად, ძალიან, მეტისმეტად; ~ difficult (heavy) — მეტისმეტად ძნელი (რთული)

tool [tu:l] n — 1. ხელსაწყო, იარაღი; 2. მეთოდი, საშუალება

top [tɒp] I n — მწვერვალი, თავი, წვერო; II a — ზედა, უმაღლესი; მაქსიმალური

topic [ˈtɒpɪk] n — თემა, (მსჯელობის) საგანი, საკითხი

topological [ˌtɒpə'lɒdʒɪkəl] a — ტოპოლოგიური; ~ group — ტოპოლოგიური ჯგუფი; ~ product — ტოპოლოგიური ნამრავლი; ~ space — ტოპო-

- ლოგიური სივრცე; ~ transformation — ტოპოლოგიური გარდაქმნა, ჰომეომორფიზმი
- topologically** [tɒpə'ɒlɔdʒikəlɪ] adv — ტოპოლოგიურად; ~ solvable(group) — ტოპოლოგიურად ამოხსნადი (ჯგუფი)
- topology** [tɒ'pɒlədʒɪ] n — ტოპოლოგია; algebraic ~ ალგებრული ტოპოლოგია; combinatorial ~ კომბინატორული ტოპოლოგია; compact ~ კომპაქტური ტოპოლოგია; discrete ~ დისკრეტული ტოპოლოგია; general ~ ზოგადი ტოპოლოგია; geometric ~ გეომეტრიული ტოპოლოგია; plane ~ სიბრტყის ტოპოლოგია; regular ~ რეგულარული ტოპოლოგია; separable ~ სეპარაბელური ტოპოლოგია; strong ~ ძლიერი ტოპოლოგია; weak ~ სუსტი ტოპოლოგია; ~ of a space — სივრცის ტოპოლოგია
- toroid** ['tɔʊrɔɪd] n — ტოროიდი
- toroidal** [tɔʊ'rɔɪdəl] a — ტოროიდული
- torque** [tɔ:k] n — ძალის მომენტი, მგრეხი მომენტი
- torsion** ['tɔ:ʃ(ə)n] n — გრეხა; geodesic ~ გეოდეზიური გრეხა; radius of ~ გრეხას რადიუსი
- torsional** ['tɔ:ʃənəl] a — გრეხითი
- torus** ['tɔʊrəs] n (pl tori ['tɔʊrɪ]) — ტორი
- toss** [tɒs] v — აგდება (აგდებს); ◇ to ~ a coin — მონეტის აგდება; წილისყრა, კენჭისყრა
- toss-up** ['tɒsʌp] n — მონეტის აგდება; წილისყრა
- total** ['təʊtl] a — მთელი, მთლიანი; სრული; საერთო, ტოტალური; ~ correlation — სრული კორელაცია; ~ differential — სრული დიფერენციალი; ~ equation — განტოლება სრულ დიფერენციალებში; ~ error — სრული ცდომილება; ~ sum — საერთო ჯამი
- totality** [təʊ'tælɪtɪ] n — ერთობლიობა, ჯამი, სიმრავლე
- totalization** [ˌtəʊtəlaɪ'zeɪʃ(ə)n] n — ტოტალიზაცია
- totally** ['təʊtəlɪ] adv — სასებით, მთლიანად, ტოტალურად; ~ bounded — სასებით შემოსაზღვრული; ~ integrable — სასებით ინტეგრებადი
- tolient** ['təʊfənt] n — ელურის ფენქცია, ტოტენტი
- totitive** ['təʊtɪv] n — რიცხვი, რომელიც ნაკლები მოცემულ რიცხვზე და მასთან თანამართივია
- touch** [tʌtʃ] v — შეხება (ეხება)
- toward(s)** [tə'wɑ:d(z)] prep - კენ; მიმართ, მიმართულებით
- trace** [treɪs] n — კვალი; ~ function — კვალის ფუნქცია; ~ of a matrix — მატრიცის კვალი
- track** [træk] n — კვალი, გზა, ბილიკი (მაგნიტურ ლენტაზე); address ~ სამისამართო ბილიკი; code ~ კოდური ბილიკი; information ~ საინფორმაციო ბილიკი
- traction** ['trækʃ(ə)n] n — წევა, შეკიდულობის ძალა
- tractrix** ['træktrɪks] (pl tractrices [træk'traɪsɪz]) n — ტრაქტრისა
- traffic** ['træfɪk] n — მოძრაობა, ტრანსპორტი
- trajectory** ['trædʒɪktəri] n — ტრაექტორია; isogonal ~ იზოგონური ტრაექტორია; orthogonal ~ ორთოგონალური ტრაექტორია
- transactions** [træn'zæksj(ə)nz] n. pl — შრომები (სამეცნიერო საზოგადოებისა, დაწესებულებისა და ა. შ.)
- transcendence** [træn'sendəns] n — ტრანსცენდენტულობა

**transcendental** [ˌtrænsɛnˈdɛntl] a — ტრანსცენდენტული; ~ equation — ტრანსცენდენტული განტოლება; ~ function — ტრანსცენდენტული ფუნქცია; ~ number — ტრანსცენდენტული რიცხვი

**transcribe** [trænsˈkraɪb] v — გადაწერა (გადაწერს), ტრანსკრიბირება

**transcription** [trænsˈkrɪpʃ(ə)n] n — გადაწერა; ტრანსკრიბიცია

**transfer** [ˈtrænsfɜː] I n — 1. გადაცემა; 2. გადატანა, გადაადგილება; data ~ მონაცემების გადაცემა; II v [trænsˈfɜː] 1. გადაცემა (გადასცემს); 2. გადატანა, გადაადგილება, გადანაცვლება

**transfinite** [trænsˈfaɪnɪt] a — ტრანსფინიტიური; ~ induction — ტრანსფინიტიური ინდუქცია; ~ number — ტრანსფინიტიური რიცხვი

**transform** [trænsˈfɔːm] I v — გარდაქმნა (გარდაქმნის); გადაქცევა, ტრანსფორმირება; II n — ტრანსფორმანტა, გამოსახულება, გარდაქმნა; Fourier ~ ფურიეს გარდაქმნა; Laplace ~ ლაპლასის გარდაქმნა

**transformation** [ˌtrænsfɔːˈmeɪʃ(ə)n] n — გარდაქმნა, ასახვა, ტრანსფორმაცია; affine ~ აფინური გარდაქმნა; birrational ~ ბირაციონალური გარდაქმნა; collinear ~ კოლინეური გარდაქმნა; conformal ~ კონფორმული გარდაქმნა; homogeneous ~ ერთგვაროვანი გარდაქმნა; inhomogeneous ~ არაერთგვაროვანი გარდაქმნა; inverse ~ შუქვეული (ინვერსიული) გარდაქმნა; Laplace ~ ლაპლასის გარდაქმნა; linear ~ წრფივი გარდაქმნა; non-degenerate ~ საყუთრივი გარდაქმნა, არაგადაგვარებული გარდაქმნა; non-linear ~ არაწრფივი გარდაქმნა; orthogonal ~ ორთოგონალური გარ-

დაქმნა; similarity ~ მსგავსი გარდაქმნა; singular ~ სინგულარული გარდაქმნა, განსაკუთრებული გარდაქმნა; ~ function — გარდაქმნის ფუნქცია; ~ group — გარდაქმნათა ჯგუფი; ~ matrix — გარდაქმნის მატრიცა

**transformer** [trænsˈfɔːmə] n — ტრანსფორმატორი

**transient** [ˈtrænzɪənt] a — გარდამავალი, ხანმოკლე; ~ behaviour, ~ regime — გარდამავალი რეჟიმი; ~ state — გარდამავალი მდგომარეობა

**transistor** [trænˈsɪstə] n — ნახევარგამტარი, ტრანზისტორი

**transition** [trænˈsɪʃ(ə)n] n — გადასვლა; გადაადგილება, გადანაცვლება; ~ operator — გადასვლის ოპერატორი; ~ probability — გადასვლის ალბათობა

**transitional** [trænˈsɪʃənl] a — გარდამავალი, შუალედური

**transitive** [ˈtrænzɪtɪv] a — ტრანზიტული, გარდამავალი; ~ group — ტრანზიტული ჯგუფი

**transitivity** [ˌtrænzɪˈtɪvɪtɪ] n — ტრანზიტულობა; double ~ ორმაგი ტრანზიტულობა

**translate** [trænsˈleɪt] v — 1. თარგმნა (თარგმნის); 2. გადატანა, გადაადგილება

**translation** [trænsˈleɪʃ(ə)n] n — 1. პარალელური გადატანა, ტრანსლაცია; parallel ~ პარალელური გადატანა; 2. თარგმანი; machine ~ მანქანური თარგმანი; sentence for sentence ~, word for word ~ სიტყვაათყვეთი თარგმანი

**translator** [trænsˈleɪtə] n — 1. მთარგმნელი; 2. გარდაქმნელი; code ~ კოდური გარდაქმნელი

**transmission** [trænz'mɪʃ(ə)n] *n* — გადაცემა, ტრანსმისია

**transmit** [trænz'mɪt] *v* — გადაცემა (გადასცემს)

**transportation** [ˌtræns'pɔ:t(ə)n] *n* — გადატანა, ტრანსპორტირება

**transpose** [trænz'pəʊz] *v* — გადაადგილება (გადაადგილებს), გადასმა, ტრანსპონირება; ~ of a matrix — გადასმული მატრიცა, ტრანსპონირებული მატრიცა

**transposition** [ˌtræns'pəʊzɪʃ(ə)n] *n* — გადაადგილება, გადაჯგუფება (მაგ. განტოლების წევრთა)

**transversal** [trænz've:səl] I *a* — გადაწყვეტი. ტრანსვერსალური; II *n* — ტრანსვერსალი, შვევითი

**transversality** [ˌtrænz've:sælɪtɪ] *n* — ტრანსვერსალურობა; ~ condition — ტრანსვერსალურობის პირობა

**transverse** ['trænz've:s] *a* — განივი, გარდი-გარდმო; ~ force — განივი ძალა; ~ section — განივი კვეთი

**trapezium** [trə'pi:zjəm] *n* (pl trapezia [trə'pi:zjə]) — 1. სწორკუთხედი, რომლის არც ერთი ორი გვერდი არ არის პარალელური; 2. ტრაპეცია; equilateral ~ ტოლფერდა ტრაპეცია; rectangular ~ მართკუთხა ტრაპეცია

**trapezoid** ['træpɪzɔɪd] *n* — ტრაპეცია, ტრაპეციოიდი; ~ formula, ~ rule — ტრაპეციის ფორმულა

**trapezoidal** [ˌtræpɪ'zɔɪdəl] *a* — ტრაპეციოიდული; ტრაპეციული

**travel** ['trævl] *v* — 1. გადაადგილება (გადაადგილებს), გავრცელება; 2. მოგზაურობა

**travelling wave** — მსრბოლი ტალღა  
**traverse** ['trævə:s] *v* — გადაჭრა (გადაჭრის).

**treat** [tri:t] *v* — მოპყრობა (ეპყრობა), მოქცევა; განხილვა, მსჯელობა, დამუშავება

**treatise** ['tri:tɪz] *n* — სამეცნიერო ნაშრომი, სახელმძღვანელო, ტრაქტატი; მონოგრაფია

**treatment** ['tri:tmənt] *n* — განხილვა, დამუშავება, გააზრება

**tree** [tri:] *n* — ხე; ~ form proof — ხის სახის დამტკიცება

**tree-like** ['tri:lɪk] *a* — ხისებრი; ~ continuum — ხისებრი კონტინუუმი

**trend** [trend] *n* — 1. ტრენდი; 2. მიმართულება, ტენდენცია; current ~ ~ თანამედროვე ტენდენცია

**triad** ['traɪəd] *n* — ტრიადი

**triadic** [traɪ'ædɪk] *a* — ტრიაიდული

**trial** ['traɪəl] *n* — ცდა, გამოცდა, შემოწმება

**triangle** ['traɪæŋɡl] *n* — სამკუთხედი; acute ~ მახვილკუთხა სამკუთხედი; equilateral ~ ტოლგვერდა სამკუთხედი; obtuse ~ ბლაგვერდი სამკუთხედი; rectangular ~ მართკუთხა სამკუთხედი; regular ~ წესიერი სამკუთხედი

**triangulable** [traɪ'æŋɡjələbəl] *a* — ტრიანგულებადი; ~ space — ტრიანგულებადი სივრცე

**triangular** [traɪ'æŋɡjələ] *a* — სამკუთხა, სამკუთხოვანი; ~ matrix — სამკუთხა მატრიცა; ~ numbers — სამკუთხა რიცხვები

**triangulate** [traɪ'æŋɡjələɪt] *v* — ტრიანგულ(ირ)ება, დასამკუთხედება (დასამკუთხედებს), ტრიანგულაცია

**triangulation** [traɪ'æŋɡjuleɪʃ(ə)n] *n* — ტრიანგულაცია, დასამკუთხედება; analytical ~ ანალიზური ტრიანგულაცია; geodesic ~ გეოდეზიური ტრიანგულაცია; spherical ~ სფერული ტრიანგულაცია

trichotomy [traɪ'kɒləmɪ] n — ტრიქოტომია, სამ ნაწილად დაყოფა

trident ['traɪdənt] n — სამკბილა; ~ of Newton — ნიუტონის სამკბილა

trifolium ['traɪ'fəʊliəm] n — სამფურცლა

trigger ['trɪɡə] n — ტრიგერი

trigonal ['trɪɡənəl] a — სამკუთხა, სამწრფივი

trigonometric(al) [ˌtrɪɡənə'metɪk(ə)] a — ტრიგონომეტრიული; ~ equation — ტრიგონომეტრიული განტოლება; ~ function — ტრიგონომეტრიული ფუნქცია; ~ series — ტრიგონომეტრიული მწკრივი

trigonometry [trɪɡə'nɒmɪtri] n — ტრიგონომეტრია; plane ~ სწორხაზოვანი ტრიგონომეტრია; spherical ~ სფერული ტრიგონომეტრია

trihedral [traɪ'hi:drəl] I a — სამწახანაგოვანი; ~ angle — სამწახანაგოვანი კუთხე; ~ prism — სამწახანაგოვანი პრიზმა; II n — სამწახანაგა, ტრიედრი; moving ~ მოძრავი ტრიედრი

trihedron [traɪ'hi:drən] n — სამწახანაგა ტრიედრი

trillion ['trɪljən] n — ტრილიონი

trinomial [traɪ'nəʊmɪəl] I a — სამწევრიანი, სამწევრა; ~ equation — სამწევრა განტოლება; II n — სამწევრა

triode ['traɪəʊd] n — ტრიოდი

triple ['trɪpl] I a — სამმაგი, სამჯერადი; ~ integral — სამმაგი ინტეგრალი, სამჯერადი ინტეგრალი; II n — სამეული (მაგ. a, b, c)

triplet ['trɪplɪt] n — ტრიპლეტი, სამეული

triply ['trɪplɪ] adv — სამჯერ, სამგზის

trisect [traɪ'sekt] v — სამ თანაბარ ნაწილად დაყოფა (სამ თანაბარ ნაწილად ყოფს)

trisection [traɪ'sekʃ(ə)n] n — ტრისექცია, სამად დაყოფა; ~ of an angle — კუთხის ტრისექცია (სამად დაყოფა)

trisection [traɪ'sektɪks] n — ტრისექცირება

trivector [traɪ'vektə] n — ტრივექტორი

trivial ['trɪvɪəl] a — ტრივიალური, ნულური; ~ solution — ნულური ამოხსნა

triviality [ˌtrɪvɪ'ælɪti] n — ტრივიალურობა

trochoid ['trəʊkɔɪd] n — ტროქოიდი

trochoidal [trəʊ'kɔɪdəl] a — ტროქოიდული

true [tru:] a — ნამდვილი, ჭეშმარიტი; სწორი, ზუსტი, სამართლიანი; ~ correlation — ჭეშმარიტი კორელაცია; ~ value — ნამდვილი მნიშვნელობა. ჭეშმარიტი მნიშვნელობა; ◇ to hold ~ მოქმედება (მოქმედებს), ძალის ქონა, სამართლიანობა

truncate ['trʌŋkɪt] v — წაყვეთა (წაყვეთს)

truncated ['trʌŋkɪtɪd] a — წაყვეთილი; ~ cone — წაყვეთილი კონუსი; ~ prism — წაყვეთილი პრიზმა; ~ pyramid — წაყვეთილი პირამიდა

